ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი, 2018

№258 (7803)

ფასი: 60 თეთრი

## სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთსა და ვაშაძეს საქართველოს არ დავუთმობ“

გვ.3





# გია ხუხაშვილი: „მიშას ჩამოსვლა შეიძლება კარგიც იყოს — სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს!“



„ამპარტავნობა, სიბრიყვე და გარყვნილებაა „ქართული ოცნების“ წარუმატებლობის მიზეზი“

გვ.2



## „ოცნების“ ზონდერებმა ახალქალაქში ვაშაძის შტაბის წევრს ყური მოაჭამეს“

გვ.4



მეგი გოცირიძე: „მაგათ ჩემი ცემა უნდოდათ, მაგრამ არ დავხვდი, თორემ ვაჩვენებდი სეირს!“



## რეზო არველაძე: „მე ყოველთვის ვამბობდი, რომ სალომეს დაყენება სწორი არ იყო“

გვ.5



### სამართალი

გვ.7

გარყვნილი ქმედება მცირეწლოვანზე



იაგო ნებიერიძეს ბრალი დაუმძიმდა

### მერაბ მორჩაძის სასამართლოზე მიხეილ კალანდია დაიკითხა



### წერეთელზე მე-14 სართულიდან 25 წლის კაცი გადავარდა და გადარჩა



### მამუკა ხეცურიანს ინტერპოლი ეძებს

მას პოლონეთში ახალგაზრდა ქალის გაუპატიურება და მკვლელობა ედება ბრალად



### ეკონომიკა

ალექსანდრე ძნელაძე: „რეგულაციების გადადება დიდი ნაბიჯის გადადგმაა ბიზნესის სექტორისკენ“ გვ.6



### ხის სახერხ საამქროებს რეგისტრაციის ხელახლა გავლა მოუწევთ





იმედია, ფიზიკური პირების კრედიტზე ყოველთვიურად გადასახდელი თანხის კოეფიციენტის გადაიხედება

ISSN 1987-9385

9 771987 938006

3 „ეს ყველაფერი საკონსტიტუციო უმრავლესობის ბრალია“

5 ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილი ნაციონალებს განზრახ ამარჯვებინებს“

3 ბიძინა გუჯაბიძე: „ნაციონალები ხელისუფლებაში ვეღარ დაბრუნდებიან“

4 სოსო ცინცაძე: „ზურაბიშვილმა გორი ომზე გაკეთებული განცხადების გამო წააგო“

# გია ხუხაშვილი: „მიშას ჩამოსვლა შეიძლება კარგიც იყოს — სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს!“

## „ამპარტავნობა, სიბრიყვე და გარყვნილება „ქართული ოცნების“ წარუმატებლობის მიზეზი“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ აღარ ეშინია ხალხს ნაციონალების დაბრუნების, რამ განაპირობა „ოცნების“ წარუმატებლობა საპრეზიდენტო არჩევნებზე, რატომ არ არის სასურველი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**

***— საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე დღე გავიდა და ახლა უფრო მშვიდად შეიძლება შეფასებების გაკეთება. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ის შედეგი, რომელიც დადგა?***

— „ოცნების“ წარუმატებლობა რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. ეს იყო ამპარტავნობა, სიბრიყვე და გარყვნილება.

ამპარტავნობაში ვგულისხმობ კაბინეტებში დაუმსახურებლად მოკალათებული ადამიანების ქედმაღლობას, რომლებმაც რატომღაც ჩათვალეს, რომ ჭეშმარიტებას ფლობდნენ და, რაც არ უნდა ექნათ, ყველაფერი გაუვიდოდათ.

სიბრიყვეში იმ გადაწყვეტილებებს ვგულისხმობ, რომელთაც „ქართული ოცნება“ ბოლო პერიოდში იღებდა. ყველა ეს გადაწყვეტილება იყო საზოგადოების გამაღიზიანებელი და იმ პრობლემების მიმართ არაადეკვატური, რომლებიც დღეს ქვეყანაშია.

გარყვნილებას როცა ვამბობ, იმ სისტემური პრობლემების სიმპტომებს ვგულისხმობ, რომლებიც ფარული ჩანაწერებით გამოვლინდა.

ეს სამი კომპონენტი „ქართული ოცნების“, როგორც პოლიტიკური ძალის, აფეთქების ტოლფასი იყო.

ამას დაემატა თავად ტექნოლოგიური პრობლემები, როდესაც ისინი მთლიანად ნეგატიურ ნარატივში იყვნენ და არანაირი პოზიტიური დღის წესრიგი არ ჰქონდათ. გადაწყვიტეს, მთელი კამპანია მოწინააღმდეგის კომპრომეტირებაზე აეგოთ. მათ ითამაშეს ნაციონალური მოძრაობის თამაშის წესებით.

„ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ ნაციონალური მოძრაობის მოედანზე იყო გადასული სათამაშოდ და მისი თამაშის წესებით თამაშობდა. კალათბურთელმა რომ გადაწყვიტოს, მოჭიდავეს ჭიდაობის წესებით ეჭიდავოს, შედეგი გასაგებია, რაც იქნება. „ოცნებასაც“ ასე მოუვიდა.

აი, ეს არის იმის მიზეზი, თუ რატომ მიიღო „ქართულმა ოცნებამ“ ასეთი შედეგი საპრეზიდენტო არჩევნებზე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არჩევნებმა ლეგიტიმაცია დაკარგა.

***— არჩევნებმა ლეგიტიმაცია რატომ დაკარგა?***

— იმიტომ დაკარგა, რომ არჩევნებზე გადამწყვეტი სიტყვა თქვა არა იმ ამომრჩეველმა, რომელიც ვიღაცას აძლევდა ხმას, არამედ იმ ამომრჩეველმა, რომელიც ვიღაცის წინააღმდეგ აძლევდა ხმას.

ეს ყველაფერი ნეგატიური ნარატივიდან გამომდინარე მოხდა. სალომე ზურაბიშვილს ისინი კი არ აძლევდნენ ხმას, ვისაც ის მოსწონდა, არამედ ისინი, ვისაც ეზიზღებოდა გრიგოლ ვაშაძე. შესაბამისად, ვაშაძეს იმ ხალხმა დაუჭირა მხარი, ვისაც ეზიზღებოდა ზურაბიშვილი.

ამ შემთხვევაში არ ვსაუბრობ რომელიმე პარტიის ამომრჩეველზე. ვსაუბრობ იმ ხალხზე, რომელიც, ასე ვთქვათ, ერთჯერადი კონტრაქტით მივიდა არჩევნებზე და ვიღაცის ზიზღით მეორე კანდიდატს მისცა ხმა. ამ კატეგორიის ამომრჩეველს არჩევნების მეორე დღეს ისევე არ ეყვარება თავისივე



არჩეული კანდიდატი, როგორც არჩევნებამდე არ უყვარდა.

შესაბამისად, ვინც არ უნდა იყოს არჩეული პრეზიდენტად, ის ამ ანტიარჩევნების გამო ლეგიტიმაციას კარგავს — მას არ ჰყავს ნატურალური, ნაღდი მხარდამჭერი.

***— „ქართული ოცნება“ აქამდე ხალხს იმით აშინებდა, რომ მათ თუ არ მისცემენ ხმას, სააკაშვილი დაბრუნდება. ახლა ფირფიტა შეცვალეს და „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გედი ფოფხაძემ განაცხადა, ვაშაძე თუ გახდა პრეზიდენტი, სამოქალაქო ომი დაიწყებაო. თქვენი აზრით, არის სამოქალაქო ომის დაწყების საფრთხე?***

— რა უნდა გიპასუხოთ? ისევ ნეგატიურ ნარატივში და ისევ მგელი მოდის, მგელი მოდის ძახილში არიან. ვერ გაიგეს ამ ადამიანებმა, რომ ძახილი, მგელი მოდის, უკვე ათვისებულია. პირველი სერიის წინაც ბევრი იძახეს ეს ფრაზა და, ვისაც მგლის ეშინოდა, მივიდა და მისცა ზურაბიშვილს ხმა.

მეორე ტურის წინ რამდენიც არ უნდა იყვირონ, მგელი მოდისო, დამატებით ვერავის შეაშინებენ.

„ქართულმა ოცნებამ“ ის ხომ არ იცის, რა გააკეთოს, მაგრამ, ისიც არ შეუძლია, რომ დასკვნები გამოიტანოს. იმასაც ვერ აცნობიერებენ, სად არიან სინამდვილეში. არადა, თავი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდეს.

***— გრიგოლ ვაშაძემ თქვა, თუ ამირჩევთ, მერაბიშვილსა და ახალაიებს შევიწყალებო. ამის მერე მას ისევ დაუჭერს ის ხალხი მხარს, ვინც პირველ ტურში უჭერდა?***

— ეს განცხადება არაფერს ნიშნავს. ამ განცხადების გამო რომ რამე მოხდება და შეიცვლება, ეს არის ილუზია. არაფერიც არ მოხდება და სწორედ ეგ არის პრობლემა.

დღეს ნაციონალური მოძრაობა არის მობილიზებული. მას გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა აქვს. მისი ამომრჩეველი ისევე მივა მეორე ტურში, როგორც პირველ ტურში მივიდა. ისინი მოსალოდნელი გამარჯვებით ტკბებიან. ასე რომ, „ქართული ოცნებისთვის“ დღეს არ არის კარგი რეალობა.

„ოცნება“ იმ შემთხვევაში გამოვიდოდა ამ ჩიხიდან, თუ სისტემურ პრობლემებს სისტემურ პასუხს გასცემდა. მათ ხალხისთვის უნდა ეჩვენებინათ ნება, რომ ვინც დასასჯელია, ის დაისჯება, ხოლო ვინც ნორმალურია, იმას გზა გაეხსნება.

***— სისტემურ პრობლემებზე სისტემური პასუხი აგვიანებს, მაგრამ ამბობენ, რომ ხალხის გულის მოსაგებად შეიძლება საკადრო ცვლილებები იყოს. ეს შეცვლის დღეს არსებულ სურათს?***

— საკადრო ცვლილებები იქნება კოსმეტიკა — მიშას გაუშვებენ, გრიშას დანიშნავენ. ამით არაფერი არ შეიცვლება. ბევრად უფრო სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი, მაგრამ, ეჭვი მეპარება, რომ ამ სერიოზულმა ნაბიჯებმა შეცვალოს რამე, იმდენად მძიმედ არის საქმე.

იმის ნაცვლად, რომ სისტემური პრობლემების გადაჭრაზე ეფიქრათ, წინასაარჩევნოდ რას ვისმენდით? ვისმენდით, რომ კარგი ბიჭები არიან და, რაც არ უნდა კითხვები გაჩნდეს, მაინც მათ უნდა დავუჯეროთ. ამან ცეცხლი კი არ ჩააქრო, არამედ, პირიქით, ცეცხლზე ნავთი დაასხა. ეჭვი მეპარება, რომ „ოცნებას“ სიტუაციის შემოტრიალების რესურსი ჰქონდეს.

***— „ოცნება“ ვაშაძის მოგების შემთხვევაში სამოქალაქო ომს აანონსებს. თქვენი აზრით, რა მოხდება, თუ ვაშაძე გახდება პრეზიდენტი?***

— ეს იქნება ძალიან სამწუხარო რეალობა. ამ შემთხვევაში პროცესების დაჩქარებას მივიღებთ. სიტუაცია დრამატული იქნება, მაგრამ არა — ტრაგიკული.

პროცესები ძალიან სწრაფად განვითარდება. ვაშაძის გაპრეზიდენტება საქართველოში სააკაშვილის დაბრუნებას ნიშნავს. მიშას თბილისის ქუჩებში გამოჩენა ჩვეულებრივი მოვლენა არ არის.



მერაბიშვილსა და ახალაიას რაც შეეხება, მათ დიდ პოლიტიკოსებად არ მივიჩნევ და, არა მგონია, მათი საკითხი ასეთი პრინციპული იყოს. მიშა სააკაშვილი თბილისის ქუჩებში კი „ბაევიკის“ სცენარია.

დაველოდოთ და ვნახოთ, რა იქნება. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ქართველ საზოგადოებას მხოლოდ ბიძინასთან არ აქვს კითხვები, მას სააკაშვილთანაც გააჩნია პრეტენზიები. ეს არც სააკაშვილს უნდა დაავიწყდეს და არ უნდა ეგონოს, რომ მას აქ ვინმე გმირად მიიღებს.

***— უცნაური ხალხი ვართ და, არ არის გამორიცხული, როგორც გმირი, მართლა ასე დაბრუნდეს. მართლა გმირად რომ მიიღონ, მერე რა ხდება?***

— მე მაინც მგონია, რომ მიშას გმირად არ მიიღებენ, თუ მიიღებენ და მაშინ ყველაფრის ღირსები ვყოფილვართ. ჩემი აზრით, საქართველოში გმირების ეპოქა საერთოდ უნდა დავასრულოთ.

***— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, მიშას დაბრუნება მაინც საშიში ყოფილა.***

— ეს უკვე საზოგადოებაზეა დამოკიდებული. სააკაშვილი თუ როგორც შეწყალებული მოქალაქე, ისე დაბრუნდა, მაშინ ის იქნება ჩვეულებრივი მოქალაქე. მისი დაბრუნების შემდეგ „ოცნება“ ძალაუფლებას არ კარგავს. ჰოდა, თუ დაბრუნება მოხდა, მერე ვნახოთ, რა იზამენ „ოცნება“, მიშა და ქართველი საზოგადოება.

***— ქართველმა საზოგადოებამ რა უნდა გააკეთოს?***

— „ოცნებასაც“ და მიშასაც თავისი ადგილი უნდა მოუძებნოს. მიშას ჩამოსვლა ავტომატურად არაფერს იწვევს. ის იქნება ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე.

***— ჩვეულებრივი მოქალაქე კი იქნება, მაგრამ, როგორც თქვენ თავად თქვით, მიშა თბილისის ქუჩებში „ბაევიკის“ სცენარია.***

— კი ბატონო, „ბაევიკის“ სცენარია და მეტი არაფერი. მხოლოდ პოლიტიკური ტემპერატურა აიწევს. არც მის და არც ვაშაძის ხელში არანაირი სამართლებრივი მექანიზმები არ არის. სახელმწიფო მართვის ძალის ცენტრი ისევ „ქართული ოცნების“ ხელშია.

მიშას აქტივობით თუ მმართველი გუნდი ჩამოიშალა, ეს მათი პრობლემა იქნება. კონსტიტუციური წესრიგი თუ შენარჩუნდა, ეს უკვე მათ დამსახურებად ჩაითვლება. ასე რომ, პროცესებში გამოჩნდება, ვის რისი თავი აქვს.

როდესაც ორგანიზმი დაავადებულია და მისი მკურნალობის შანსი გინდა გაგიჩნდეს, პირველ რიგში იწყებ დაავადების პროვოცირებას, რათა პროცესები დააჩქარო. ეს კეთდება იმისთვის, რომ შემდეგ ერთიანი დარტყმით განიკურნო.

დაახლოებით ამ მდგომარეობაშია დღეს ქართული სახელმწიფო. შეიძლება ჯობდეს კიდევაც, რომ მიშა ჩამოვიდეს — სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს. ორივე მხარე გამოაჩენს თავის სახეს.

***— ამ შემთხვევაში სახის ჩვენება ხალხსაც მოუწევს.***

— რა თქმა უნდა, ხალხმა უნდა აჩვენოს, რა გვინდა და როგორ.

***— გრიგოლ ვაშაძე ამბობს, რომ, გაპრეზიდენტების შემთხვევაში პარლამენტს დაითხოვს და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს. თქვენ ელოდებით ვადამდელ არჩევნებს?***

— ახლა ქვეყნისთვის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მიზანშეწონილი არ იქნება.

***— რატომ არ იქნება მიზანშეწონილი?***

— იმიტომ, რომ ორივე პოლიტიკური ცენტრი, „ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც, არის ყავლგასული. ახალი პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებას კი დრო სჭირდება. დრო სჭირდება საქართველოსაც. კარგი იქნება, თუ არჩევნები 2020 წელს ჩატარდება. სამწუხაროდ, ყველაფერი ვადამდელისკენ მიდის.

***— ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში პარლამენტში მანდატებს ისევ ეს ორი ძალა გაინაწილებს?***

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები თუ ჩატარდა, ისევ ამ უბედურებაში დავრჩებით. უმჯობესია, საზოგადოებას მიეცეს დრო იმისთვის, რომ ალტერნატივები შექმნას.

***— პოლიტიკურ ველზე თითქოს არავინ ჩანს. თქვენ ხედავთ ხალხს, რომელსაც ახალი ძალის შექმნა შეუძლია?***

— ვიღაცებზე ვფიქრობ. ახალი ძალა შეიძლება შექმნან იმ ადამიანებმა, რომლებიც, ერთი მხრივ, ცნობადები არიან, მეორე მხრივ, არ არიან კომპრომეტირებულები.

***— კიდევ არიან ასეთი ადამიანები ქართულ პოლიტიკაში?***

— ცოტა, მაგრამ არიან.

***— თავად პოლიტიკაში მოსვლა არ გინდათ?***

— მე და პოლიტიკა? არა. ეს რომ მნდომოდა, 2012 წელს მივიღებდი საკმაოდ მაღალ თანამდებობას. ახალი პოლიტიკური ძალის შექმნას ხელს შევუწყობ, მაგრამ, როგორც პოლიტიკოსი, დამაზიანებელი ვიქნები.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ეს ყველაფერი საკონსტიტუციო უმრავლესობის ბრალია“

## ლევან ალაფიშვილი: „ხალხი მხოლოდ ბიულეტენებად არ უნდა გჭირდებოდეს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ძალაუფლების დანაწილების პრინციპსა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, თქვენ როგორ აფასებთ შექმნილ პოლიტიკურ მოცემულობას?***

– „ქართულ ოცნებას“ სალომე ზურაბიშვილთან ერთად პოლიტიკური პროცესის გაგრძელება კიდევ უფრო მეტად დააზიანებს. ეს ყველაზე კარგად თვითონ „ქართულმა ოცნებამ“ იცის. მე სწორედ ამ კონტექსტში განვიხილავ კახა კალაძის განცხადებას. ნაწილი არათუ „გაპრავებაზეა“ გადასული, არამედ ღია კრიტიკაზე, რაც უკვე არის იმის ნიშანი, რომ რეალურად „ქართული ოცნების“ გუნდის შიგნით ერთგვაროვანი პოზიცია არ არის, რადგან მეორე ნაწილისგან ამის საპირისპირო გვესმის.

ფაქტია, სალომე ზურაბიშვილი ნეგატივად იქცა თვითონ პარტია „ქართული ოცნების“ შიგნითაც.

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– პარტიის შიგნით დაპირისპირებას სწორედ სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ.

***– გიგი უგულავა ამბობს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობამ დაღუპა თავის დროზე ნაციონალური მოძრაობა და ახლა – „ქართული ოცნება“. ის აქცენტს მრავალპარტიულ პარლამენტზე აკეთებს. რამდენად შესაძლებელია, პროპორციული არჩევნები დაინიშნოს არა 2024 წელს, როგორც ეს კონსტიტუციაშია ჩაწერილია, არამედ 2020 წელს?***

– პირველი სერიოზული შემაშფოთებელი პროცესი მაშინ წარმართა „ქართულმა ოცნებამ“, როდესაც კონსტიტუციური უმრავლესობა გაიფორმა. სწორედ მაშინ აუვარდათ თავში. 2016 წელს „ქართულმა ოცნებამ“ პროპორციული წესით 48% მიიღო, მაგრამ გაიფორმა კონსტიტუციური უმრავლესობა. ეს პრობლემა არის შევარდნაძის პრეზიდენტობიდან მოყოლებული დღემდე.

კონსტიტუციური უმრავლესობა გამოწვევაა ყველა ხელისუფლებისთვის და ეს იქცა სერიოზულ გამოწვევად „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვისაც. ეს გამოიყენეს ბოროტად შევარდნაძემ, სააკაშვილმა და ახლა „ქართულმა ოცნებამ“. ჩნდება ცდუნება, რომ მართლა ძლიერი ხარ, რომ მართლა ყველაფერი შეგიძლია, რომ ჭეშმარიტებაზე გაქვს მონოპოლია და ა.შ.

კალაძე დღეს რომ გამოდის და შეცდომებზე საუბრობს, როდესაც საკონსტიტუციო ცვლილებები გაატარეს, მაშინ მოვუწოდებდით, რომ არ წასულიყვნენ ამ მიმართულებით. ახლა ძალიან დაგვიანებულია თავის მართლება. ეს, იცით, რას ჰგავს? ბავშვს რომ უბრაზდები და ის გეუბნება, ერთიც მაპატიე, მეტს აღარ ვიზამო!

კონსტიტუცია როდესაც მიიღეს, მე მაშინ ვთქვი, რომ პარტიის წესდება მიიღეს. საზოგადოების ჯგუფი დაასახელონ, რომელიც ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს უჭერდა მხარს, გარდა მათი პარტიული წევრებისა. პარტიის მხოლოდ ერთი ჯგუფი უჭერდა მხარს, სრულად იქაც არ იყო თანხვედრა.

ეს არის პრობლემა. ისინი არ ითვალისწინებდნენ ხალხის აზრს. ენდიაიმ თუ აირაიმ სოციოლოგიური კვლევის შედეგები დადო, სადაც პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებს მოსახლეობის 60% უჭერდა მხარს, მაგრამ ვინ გაითვალისწინა?! ეს არის პრობლემა.

ყველა წინამორბედი ხელისუფლებაც ცდილობდა, ესარგებლა და შეექმნა მექანიზმები, რომ ძალაუფლება შეენარჩუნებინა, მაგრამ ორ საპარლამენტო ვადაზე მეტი ამომრჩეველმა არც ერთი არ გააჩერა პოლიტიკურ ავანსცენაზე.

მოქალაქეთა კავშირი ახსოვს ვინმეს?! ნაციონალური მოძრაობა არსებობს, მაგრამ ჩამოსცილდა ხელისუფლებას. შესაბამისად, ეს უნდა გაეთვალისწინებინა „ქართულ ოცნებას“. პასუხი მარტივია – ხშირი არჩევნები, პირდაპირი წესით არჩეული ორგანოები და სახელმწიფო ინსტიტუტები რაც მეტი იქნება, მით უკეთესია ჩვენნაირი მყიფე დემოკრატიისთვის. ეს არის გზა მდგრადი დემოკრატიის განვითარებისკენ.

სწორედ იმიტომ, რომ ძალაუფლება ჰქონდათ, საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობდნენ პარლამენტში, ჩვენ, ხალხს, პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის უფლება წაგვართვეს.

***– 300 ხმოსანს რომ აერჩია, ამ შემთხვევაში სურათი როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო?***

– საქმე ის არის, რომ ამომრჩევლის 60% თვლის, რომ პირდაპირი არჩევნები უნდა იყოს პრეზიდენტის ასარჩევად, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ ასე არ უნდა.

როდესაც ციკლურია არჩევნები, როდესაც ირჩევ პრეზიდენტს, პარლამენტს, ადგილობრივ თვითმმართველობებს, ისეა აწყობილი საარჩევნო კალენდარი, რომ პოლიტიკური კრიზისის ალბათობა მნიშვნელოვნად იკლებს.

ახლა სალომე ზურაბიშვილი 300 ხმოსანს რომ აერჩია, მერე ვნახავდით, ამას რა მოჰყვებოდა. ახლო პერიოდში არანაირი არჩევნები არ არის, ამიტომ ხალხს თავისი პოზიციის დაფიქსირება გარეთ მოუწევდა. ხალხს უკმაყოფილების მცირე ნაპერწკალზეც კი ქუჩაში გამოსვლა მოუხდებოდა.

ამას ვერ აცნობიერებს დღეს ხელისუფლება. თუკი განწყობები იცვლება, ეს განწყობებიც ადეკვატურად უნდა ისახებოდეს არჩევნების გზით. ეს ვერ გაითვალისწინა „ქართულმა ოცნებამ“.

***– ახლა ვიღაც გეტყვით, რომ გერმანიაში, სხვა საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტს პირდაპირი წესით არ ირჩევენ.***

– გერმანია არის დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც ფედერალური მოწყობაა და ყველა დონეზე არის არჩევნები. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ სადაც ხალხის მონაწილეობა არ არის უზრუნველყოფილი, იქ პოლიტიკური კრიზისების ალბათობა ძალიან მაღალია, განსაკუთრებით, გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში.




ხალხი ბიულეტენად კი არ უნდა გჭირდებოდეს, მას პასუხისმგებლობაც უნდა გაუნაწილო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მერწმუნეთ, ამომრჩევლის ქცევა ადეკვატური იქნება.

***– დაბოლოს, თუ არჩევნების მეორე ტურში გადასული ერთი კანდიდატი უარს ამბობს არჩევნებში მონაწილეობაზე, რა ხდება, ეს საკითხი როგორ რეგულირდება?***

– სამართლებრივად საარჩევნო ბიულეტენში ორი კანდიდატი იქნება დაფიქსირებული, მაგრამ, ფაქტობრივად, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კანდიდატი.

გორში ირაკლი ალასანიას შემთხვევა, ქუთაისში – თავად გრიგოლ ვაშაძის. მეორე ტურში ორივე კანდიდატი იყო გადასული, მაგრამ მათ უარი თქვეს არჩევნების მეორე ტურზე. მიუხედავად ამისა, ბიულეტენში ორივე კანდიდატის გვარი იყო შესული.

# ბიძინა გუჯაბიძე: „ნაციონალები ხელისუფლებაში ვეღარ დაბრუნდებიან“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი ბიძინა გუჯაბიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მიღებული შედეგები კატასტროფული არ არის, თუმცა, ხარვეზიანია. მეორე ტურის შედეგად სხვა რეალობა შეიქმნა და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღება.

***– ბატონო ბიძინა, საპრეზიდენტო არჩევნებში ასეთ კატასტროფულ შედეგს მოელოდით?***

– კატასტროფული შედეგი არ არის, მაგრამ ხარვეზიანი შედეგი არის. დემოკრატიის ნიშანია ის, რომ მეორე ტური ტარდება. მიშას დროს პირველივე ტურში 90%-ს დაიწერდნენ. ჩვენ არ ვართ ასეთი მოძალადეები.

***– თუმცა, დიდი საშიშროება შეგექმნათ, რომ შეიძლება ნაცებმა გაიმარჯვონ.***

– არავითარი საშიშროება, არავითარი. უბრალოდ, 1%-ც კი არ არის, რომ ნაციონალები დაბრუნდნენ. მას თავისი ელექტორატი ჰყავს და ადამიანს ვერ დაუშლი ვინმეს მხარდაჭერას. პოლიტიკურ ოპონენტს ვერ დასჯი იმის გამო, რომ ასეთი აზრი აქვს. ბევრი რამ ამომრჩეველზეა დამოკიდებული.

***– რა თქმა უნდა, დღეს ამომრჩეველზეა დამოკიდებული, თუმცა, წარსულში არ იყო ასე.***

– თქვენ როგორ გგონიათ, რომ მოენდომებინათ, ვერ გააყალბებდნენ, როგორც ნაციონალები აკეთებდნენ? შეეძლოთ, გაეყალბებინათ, მაგრამ ეს არ არის დემოკრატიის ნიშანი.

***– შეიძლება, რევანშით არიან შეპყრობილები, მაგრამ ჯერჯერობით კანონს ემორჩილებიან და არჩევნებში მონაწილეობენ.***

– თუმცა, შიგადაშიგ მოწოდებები არის, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას უშვებენ. რამდენად არის გამოკვეთილი დანაშაულის ნიშნები, ამის გარკვევაზე სამართალდამცავები იზრუნებენ. თუმცა, რევანშისტები ვერაფერსაც ვერ მიაღწევენ. თუ უნდათ, რევანშის წყურვილით იყვნენ სავსე და, სად მიიყვანთ რევანშის სურვილი, ვნახავთ.



***– თქვენ თქვით, რომ „ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატის გამარჯვებისთვის რესურსი არის. ასეთი დასკვნები ზედმეტი თავდაჯერებიდან ხომ არ მომდინარეობს?***

– თავდაჯერებიდან არ მომდინარეობს, ჩემი დასკვნები ანალიზს ეფუძნება. ამდენი ხანია პოლიტიკაში ვარ და რაღაც მეც მესმის. დასკვნები გამომდინარეობს არჩევნების შედეგიდან, ვინ მივიდა არჩევნებზე და ვინ – არა. ამის ანალიზი, ღვთის მადლით, შეგვიძლია. იმის უნარი გვაქვს, რომ ნაციონალების სასარგებლოდ პროცესი არ წარიმართოს. ნაციონალები ხელისუფლებაში ვეღარ დაბრუნდებიან.

***– რეალურად, 50% არჩევნებზე არ მოვიდა.***

– ეს არის რეზერვი, რომელიც გამოსაყენებელია.

***– თუმცა, მათ სჭირდებათ ამოძრავება. რა შეიძლება იყოს ის ბერკეტი, რომელიც პირველ ტურში სახლში დარჩენილ ამომრჩეველს მეორე ტურში არჩევნებზე მიიყვანს? ეს ხალხი განაწყენებულია, რადგან „ოცნებისაგან“ უფრო მეტს მოელოდა.***

– მარტო განაწყენებას ვერ დავაბრალებთ, სახლში დარჩენილ 50%-ში განაწყენებული ძალიან ცოტაა. ძირითადი მიზეზია მოსახლეობასთან კომუნიკაციის ნაკლებობა. კომუნიკაციაში ვგულისხმობ მასთან მისვლას, დარწმუნებას, რაღაც საჭიროებებზე ზრუნვას. განაწყენებული მოსახლეობა ძალიან ცოტაა. ადამიანი განაწყენებული შეიძლება იყოს, მაგრამ, თუ ის პოლიტიკურად აქტიურია, მაინც მივა და ხმას ხელისუფლებას მისცემს, რადგან არ უნდა, ხელისუფლებაში დაბრუნდეს სხვა ძალა, რომელიც ქვეყანას დაანგრევს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთსა და ვაშაძეს საქართველოს არ დავუთმობ“

შორენა მარსაგიშვილი

**„ქართულ ოცნებაში“ ყველაფერი რიგზე ვერ არის. არჩევნების მეორე დღეს მათი კანდიდატის სამარისებურმა დუმილმა ბევრი კითხვა და ეჭვი გააჩინა. ეჭვების გაჩენას ხელი „ოცნების“ ლიდერების განცხადებებმაც შეუწყო.**

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კალაძემ 29 ოქტომბერს საკმაოდ ხმაურიანი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტად დასახელება შეცდომა იყო.

როგორც ამბობენ, ამ განცხადებამ სალომე ზურაბიშვილი სერიოზულად განარისხა. ის „ოცნებას“ კანდიდატურის მოხსნითაც კი დამუქრებია.

ჭორებს წერტილი სალომე ზურაბიშვილმა დაუსვა. მან გუშინ, 30 ოქტომბერს, საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ პრეზიდენტობისთვის ბრძოლას აგრძელებს.

– მინდა, ულრმესი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მოვიდა არჩევნებზე, ვინც დამიჭირა მხარი, ვინც ხმა მომცა, ვინც ძალიან დიდხანს ბოლო სამი თვე ასე აქტიურად მონაწილეობდა ამ კამპანიაში, რომელიც ადვილი არ იყო, ოცნებას, ჩემი შტაბის მხარდამჭერებს და უბრალოდ ადამიანებს. ყველა ამ ადამიანის გამარჯვებაა ის, რაც მოხდა 28 ოქტომბერს.

შეიძლება, ვიღაცამ იფიქროს, რომ ეს არ არის ის გამარჯვება, მაგრამ პირველ ტურში პირველი ადგილი არის გამარჯვება, ყველაფრის მიუხედავად, ყველა იმ ხერხისა და მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეკუთვნის რუსულ ტექნოლოგიას, მაინც პირველი ადგილი, პირველ ტურში, რუსთავი 2 ფიქრობს და აჯერებს ხალხს, რომ შეიძლება მოვხსნა კანდიდატურა და რატომ, ვაშაძესა და რუსეთს დავუთმო ქვეყანა? და რა? მხარდამჭერები და თანამებრძოლები მივატოვო შუა ბრძოლაში? არა!





მე მგონი, არ მიცნობენ, კახელიც ვარ და მეგრელიც, ჯიუტი, ბოლომდე წამსვლელი, ჩემი ხალხისა და ქვეყნის ერთგული. ამიტომ, მზად ვარ მეორე ტურისთვის, მზად ვარ ბრძოლისთვის, იმიტომ, რომ მჯერა თქვენი, ვინც დღეს გვისმენთ, მჯერა თქვენი არჩევანის, სიბრძნის, იმის, რომ იცით, რა გინდათ საქართველოსთვის.

თქვენც კარგად ხვდებით, რომ დღეს არ არის არჩევანი ორ კანდიდატსა თუ ორ პარტიას შორის, დღეს არის არჩევანი ორ საქართველოს შორის, ჩვენ ეს არჩევანი ერთად უნდა გავაკეთოთ, მე მჯერა თქვენი, მივდივარ ბრძოლაში, ყველანი მივდივართ ერთად, რადგან ჩვენ მხარეს არის სიმართლე, ევროპა და საქართველოს თანამედროვე მომავალი, ერთად საქართველოსთვის! – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

არჩევნებისთვის გააქტიურებას აპირებს თავად „ქართული ოცნებაც“. მათ პარტიასა და მთავრობაში საკადრო ცვლილებები დააანონსეს.

თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ მეოცნებეები საზოგადოებას უფრო ზრდილობიანად ესაუბრებიან, ვიდრე ეს არჩევნებამდე იყოს.

უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ანრი ოხანაშვილმა სალომე ზურაბიშვილს ჟურნალისტებთან მოქცევის წესი დაუწუნა. „ოცნების“ ნებიერა მედიას აქამდე თუ ტვინის განძრევისკენ მოუწოდებდა, ახლა ზურგს აქცევს და ასე ზურგშექცეული აცხადებს უარს კომენტარის გაკეთებაზე.

მეოცნებეები მეორე ტურის წინ სამოქალაქო ომზეც ალაპარაკდნენ. ამ მხრივ პირველი მერცხალი დეპუტატი გედი ფოფხაძე იყო, ის გედი ფოფხაძე, რომელიც ახლო წარსულში ამბობდა, იგორ გიორგაძე ინტელექტუალია და საქართველოში უნდა დაბრუნდესო.

გიორგაძის ინტელექტით გაოგნებული ფოფხაძე ამბობს, რომ თუ არჩევნებს გრიგოლ ვაშაძე მოიგებს, სამოქალაქო ომი დაიწყება. ამ ნარატივში მას მხარი თანაპარტიელმა ირაკლი სესიაშვილმა აუბა, ცოტა ხნის მერე კი მეოცნებეებს ბანი პატრიოტთა ალიანსმაც მისცა. პატრიოტებიც ამტკიცებენ, რომ თუ ვაშაძე მოიგებს, ომი იქნება.

# „ოცნების“ ზონდერებმა ახალქალაქში ვაშაძის შტაბის წევრს ყური მოაჭამეს“

## მეგი გოცირიძე: „მაგათ ჩემი ცემა უნდოდათ, მაგრამ არ დავხვდი, თორემ ვაჩვენებდი სეირს!“

შორენა მარსაგიშვილი

**ბორჯომის მაჟორიტარმა დეპუტატმა, „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გედევან ფოფხაძემ ერს სამოქალაქო ომი დაუანონსა. მისი თქმით, ომი იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს გრიგოლ ვაშაძე მოიგებს.**

ამ განცხადებიდან ძალიან მალე ჯავახეთში „ოცნების“ ზონდერებმა გრიგოლ ვაშაძის შტაბის წევრებს ნამდვილი ბართლომეს ღამე მოუწყვეს.

როგორც ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, გრიგოლ ვაშაძის ახალქალაქის შტაბი „ოცნების“ 30-მდე ზონდერმა დაარბია.

გოცირიძის თქმით, დარბევას ხელმძღვანელობდა და მასში აქტიურად უშუალოდ მონაწილეობდა მარტუნ მკოიანი, რომელიც „ქართული ოცნების“ დეპუტატ ენზელ მკოიანის ძმაა.

„ოცნების“ აქტივისტებს აშკარად მეგი გოცირიძის ცემა უნდოდათ. ყოფილი დეპუტატის თქმით, ზონდერები ყვიროდნენ, მეგი სადააო.

რატომ აპირებდა ენძელ მკოიანის ძმა ყოფილი დეპუტატის ცემას, რა სტატუსი მიუძღვნა „ოცნების“ დეპუტატმა სააკაშვილს, ვინ ემზადება სამოქალაქო ომისთვის? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ მეგი გოცირიძე ესაუბრება.

**მეგი გოცირიძე:**

– ახალქალაქის შტაბიდან რამდენიმე საათის გამოსული ვიყავი. ჩემი მეუღლე ადიგენის შტაბის უფროსია და მასთან ჩავედი, რაღაც საორგანიზაციო საკითხები იყო შესათანხმებელი.

ამ დროს ჩვენებმა შტაბიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ ჩვენს შტაბში საშინელება ტრიალებდა. ენზელ მკოიანის ძმა 20 მანქანით მივარდა შტაბში. მას ახლდა 30-მდე ზონდერი. ისინი კასტეტებითა და დუბინკებით იყვნენ შეიარაღებული.

თავდამსხმელები ჩვენს ბიჭებს უმოწყალოდ ურტყამდნენ და თან ღრიალებდნენ, მეგი სად არისო.

***– მეგი ანუ თქვენ?***

– მე, აბა სხვა ვინ მეგი. ეს უნამუსო ზონდერები ჩემ საცემად მოცვივდნენ იქ.

***– თქვენთან რა უნდოდათ?***

– როგორ რა უნდოდათ, მთელი გეგმები წყალში ჩავუყარე. ეგ ვერ მაპატიეს და გადაწყვიტეს, ვეცემე.

***– ქალი უნდა ეცემა 30 ზონდერს?***

– ჩემი ცემა ეგეთი ადვილი არ არის. ამასთან, შტაბში, ჩემ გარდა, სხვებიც ხომ იქნებოდნენ, ამიტომაც მოვარდა 30 კაცი. რატომ იქ არ ვიყავი და მაგათ ვაჩვენებდი, როგორ უნდა მივარდნა და ცემა.

რატომ გიკვირთ ამ კრიმინალებისგან, რომ ქალის ცემას აპირებდნენ. მე კიდევ ბრძოლისუნარიანი ვარ, მაგ საზიზღარმა ქოცებმა ჩვენი თეონა ჭალიძე, ერთი კაფანდარა გოგო, ცემეს არჩევნების დღეს. საოლქო კომისიის თავმჯდომარემ კაფანდარა თეოს თმაში ხელი მოჰკიდა და კარზე არახუნებინა თავი. ამის მერე მეკითხებით, ქალი ხარ და როგორ უნდა ეცემეო.

***– თქვენ მითხარით, „ოცნებას“ გეგმები ჩავუშალეო. სანამ ამ გეგმებზე ვისაუბრებდეთ, გვითხარით, როგორ არიან თქვენი შტაბის წევრები?***

– როგორ არიან? არც ერთს თავი მთელი აღარ აქვს. მკოიანის ბანდამ ბიჭებს დუბინკებით დაუხეთქა თავები. ერთ-ერთს ყური აქვს მოჭმული.

***– რას ნიშნავს, ყური აქვს მოჭმული? ინციდენტის დროს მოაჭამეს?***

– ჩხუბის დროს მოაჭამეს.

***– ყურს რაღას აჭამდნენ, ტაისონი იყო რომელიმე ამ ზონდერებიდან?***

– იქ ვყოფილიყავი და ვანახებდი, როგორ უნდოდა ტაისონობა. ამას ასე მაინც არ დავტოვებ. ამ სისხლისღვრისთვის საკადრის პასუხს მიიღებენ.

***– საკადრის პასუხში რას გულისხმობთ, მიუვარდებით?***

– ეგღა გვაკლია, სამართლებრივი ჩარჩოებიდან გამოვიდეთ. მივარდნის ღირსები კი არიან, მაგრამ ქოცები კი არა ვართ, მივუვარდეთ. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყება გამოძიება და ეს ზონდერები კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან.





***– ისეთი ხმა გაქვთ, ჩხუბს ხომ არ ჩაუსწარით?***

– ვერ ჩავუსწარი. ხმა წინა დღეებში დავკარგე. გგონიათ, წინა დღეებში ნაკლები ომი გადავიტანე ენზელა მკოიანთან და მაგის ძმის ბანდასთან?! საშინელება გამოვიარე, მაგრამ მთავარია, შედეგი დავდე და ქოცებს გეგმები ჩავუშალე.

***– ამ გეგმებზე ზევითაც თქვით და მოდით, ახლა გვითხარით, რა გეგმები ჩაუშალეთ?***

– ამათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ჩვენთვის 0 ხმა დაეწერათ. ენზელ მკოიანი „ოცნების“ ბოსებს დაჰპირდა, რომ ახალქალაქსა და ნინოწმინდაში სალომე ზურაბიშვილი ხმების 93%-ს აიღებდა. მისი გათვლებით, გრიგოლ ვაშაძეს უნდა აელო 0%.

ახალქალაქსა და ნინოწმინდაში სოფლების ნაწილი მთებზეა შეფენილი. გზა თუ არ იცი, იქ მისვლა შეუძლებელია.

***– შეუძლებელი რატომ არის, არ მიდის სამანქანე გზა?***

– სამანქანე გზა მიდის, მაგრამ სოფლების აღმნიშვნელი არანაირი აბრა არ არის. ადგილობრივი თუ არ ხარ, ვერ გაიგებ, საით უნდა წახვიდე.

დამკვირვებლები ტაქსებით უნდა გამეგზავნა. უკვე ნანახი მყავდა ადგილობრივი ტაქსის მძღოლები. არჩევნების წინა საღამოს ენზელ მკოიანმა და მისმა ხალხმა ტაქსის მძღოლებს 100-100 ლარი და ბენზინის ტალონები დაურიგეს, სახლიდან გარეთ არ გამოხვიდეთო.

არჩევნების დღეს მანქანა არ ჭაჭანებდა ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, მაგრამ რისი მეგი გოცირიძე ვიქნებოდი, ამათი სივერაგე არ გამეთვალა. თბილისიდან ჩამოყვანილი მყავდა მეგობრები. იმათი მანქანებით გავუშვი ჩვენები საარჩევნო უბნებზე.

ენზელა ამაზეც დაიბოღმა, მაგრამ საოლქოში რომ ჩავუშალე დიდი გაყალბება, მაგაზეა გადარეული. ამის გამო ჩაატარეს სადამსჯელო ოპერაცია ჩვენს შტაბში.

***– ასეთი გადარეული და გამძვინვარებული თუ იყო ენზელი, არჩევნების მეორე დღეს რატომ არ მოგივარდათ?***

– საქმეც იმაშია, რომ არჩევნების მეორე დღეს გადაირია. „ოცნებამ“ დაახურა თავზე, შეუსრულებელი დაპირების გამო მოსთხოვეს პასუხი და მაგანაც გადაწყვიტა, შური ეძია.

საშინლად აგრესიულად იყო თავიდანვე ჩვენ მიმართ განწყობილი, მაგრამ ბოლოს სულ გადაირია.

***– ეგ ენზელ მკოიანი ერთ დროს ნაციონალი არ იყო?***

– იყო, იყო, ოღონდ მანამდე ედუარდ შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირს ამშვენებდა. 2003 წლის 22 ნოემბერს პარლამენტში რომ შევვარდით, ხომ გახსოვს? იმ პერიოდში ის შევარდნაძის ბლოკიდან იყო დეპუტატად გასული. როგორც კი დაინახა, რომ ჩვენ ვიმარჯვებდით, ხელები ასწია და ჩაგვბარდა. 2012 წელს ასევე ჩაბარდა „ქართულ ოცნებას“.

28 ოქტომბრის არჩევნების შედეგები რომ ნახა, გადაწყვიტა, ისევ ჩვენ ჩაგვბარებოდა.

***– რანაირად? ზონდერები იმიტომ მოგიგზავნათ, გბარდებითო?***

– არა, ეგ ზონდერები სკანდალის მერე გამოგზავნა. მანამდე, შედეგები რომ ნახა, ფეისბუქზე სტატუსი დაწერა და მიშას აქებდა.

***– რომელ მიშას?***

– რომელ მიშას და სააკაშვილს.

***– სააკაშვილს აქებდა ენზელ მკოიანი?***

– აქებდა რომელია, სტატუსი მიუძღვნა საოცარი. ეს სტატუსი რომ ვნახე, დავურეკე და სულ უნამუსო კაცი ვეძახე.

***– რაღაც დაუჯერებელია, ენზელ მკოიანს ახლა სააკაშვილისთვის ეკმია გუნდრუკი.***

– ფაქტია, რომ უკმია. როცა დაინახა, არჩევნებს აგებდნენ, შეიცვალა პოზიცია. ეს სტატუსი „ოცნებაშიც“ წაიკითხეს, დაპირებული 93%-ც ვერ დაუდო სალომეს. ამაზე გაბრაზებული ქოცები მიუვარდნენ ენზელს და ყველაფერი თავზე გადაალეწეს. ქონების წართმევითაც დაემუქრნენ. ეგეც ადგა და ზონდერები გამოაგზავნა ჩვენს შტაბში.

ეს ძალადობა „ქართულ ოცნებას“ ძალიან ძვირი დაუჯდება.

ის უწიგნური გედი ფოფხაძე სამოქალაქო ომზე რომ მელაპარაკება, გამცეს პასუხი, არის თუ არა სამოქალაქო დაპირისპირება ის, რაც 30 ოქტომბერს ახალქალაქში მოხდა. ის მაინც თუ ესმით ამ უტვინოებს, რომ ნებისმიერი ასეთი ფაქტი შეიძლება ჯავახეთში კონფლიქტის მიზეზი გახდეს.

იაგო ნაცვლიშვილი

# სოსო ცინცაძე: „ზურაბიშვილმა გორი ომზე გაკეთებული განცხადების გამო წააგო“

**სალომე ზურაბიშვილმა არჩევნების პირველი ტური წააგო როგორც საქართველოს ყველა დიდ ქალაქში, ისე საზღვარგარეთის უბნებზე. ის დამარცხდა გორშიც, ქალაქში, რომელმაც საკუთარ თავზე მთელი სიმწვავით გამოცადა 2008 წლის აგვისტოს ომი.**

ზურაბიშვილის აგვისტოს ომთან დაკავშირებული განცხადებები, რომ ომი სააკაშვილმა დაიწყო, უკავშირდება თუ არა ამ შედეგს და რით აიხსნება დიდ ქალაქებსა და საზღვარგარეთის უბნებზე არჩევნების წაგება? – ამის შესახებ „ახალი თაობა“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა.

***– სალომე ზურაბიშვილმა არჩევნები წააგო ყველა დიდ ქალაქში – თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში. რით აიხსნება ეს?***

– დიდ ქალაქებში უფრო რთულია ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა მანიპულაციებსა და ფორმებზე, მოსყიდვებზე და ა.შ.

***– რთული რატომ?***

– რთულია იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ბევრი ხალხია და ყველას თვალწინ ხდება. გარდა ამისა, პრესაა, ტელევიზიაა, ჟურნალისტები უფრო აქტიურები არიან. დამკვირვებლებიც დიდ ქალაქებში უფრო ჩადიან. სოფლებში და მცირე დასახლებულ ქალაქებში უფრო იოლია ამ ყველაფრის გამოყენება, ტექნიკურადაც. მე, მაგალითად, მხოლოდ ამით ავხსნი.



არა მგონია, რომ სალომე ზურაბიშვილი უკეთესად გაიცნეს სადღაც მიყრუებულ სოფელში და ცუდად გაიცნეს თბილისში, ქუთაისსა თუ ზუგდიდში, ანუ სალომე ზურაბიშვილს ხმა მისცეს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც არ იცოდნენ, ეს ქალი ვინ არის და რას ლაპარაკობდა, როგორი წარსული აქვს. იყო მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსი და იქ სულ ერთია.

***– ემიგრანტებმაც სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ამაზე რას იტყვით?***

– კი, ემიგრანტებში ყველგან წააგო.

***– რით ახსნით ამას? მით უმეტეს, როცა საფრანგეთშიც აგებს, სადაც დიდი ხანი ცხოვრობდა.***

– საფრანგეთში, ბელგიაში, აშშ-სა თუ სხვაგან ქართველი ემიგრანტები სალომე ზურაბიშვილს პროდასავლურად არ თვლიან. როგორი ავტორიტეტი აქვს ამ ქალს თავის თანამემამულეებში, ეს ხომ თავისთავად ბევრ რამეზე ლაპარაკობს. გარდა ამისა, როგორც ჩანს, საფრანგეთის ქართველობამ უფრო მეტი იცის ამ ადამიანის წარსულზე, ვიდრე ჩვენ.

***– სალომე ზურაბიშვილმა ასევე წააგო შიდა ქართლში, მათ შორის გორშიც. გორი ოკუპირებულ ტერიტორიებთან ძალიან ახლოს არის და საკუთარ თავზე გამოცადა 2008 წლის აგვისტოს ომი. ეს უკავშირდება თუ არა მის განცხადებებს ომთან დაკავშირებით?***

– რასაკვირველია. გარდა ამისა, ნახეთ, რა მოხდა, ეთნიკური სომხებით დასახლებულ რაიონებში გაიმარჯვა ზურაბიშვილმა, მაგრამ ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ ადგილებში ვაშაძემ მოიგო.

***– ეს რას უკავშირდება?***

– ახალქალაქში გაკეთებულ მის განცხადებებს მოქალაქეობაზე და ა.შ. ამ ქალმა კიდევ ერთი ნაპრალი გააჩინა. გამოირკვა, რომ თუ ვაშაძე პრეზიდენტი გახდა, ეთნიკური სომხები მას არ აღიქვამენ თავის პრეზიდენტად, აზერბაიჯანელები კი – ზურაბიშვილს. ასეთი სურათი შეიქმნა სალომე ზურაბიშვილის სულელური განცხადებებით. კანდიდატის განცხადებები ძალზე მნიშვნელოვანია.

ტყუილად ხომ არ არის, რომ ამერიკაში პრეზიდენტის მრჩევლები წინასწარ აკონტროლებენ მის ყველა განცხადებასა და სიტყვას, თუ ის ნორმალური პრეზიდენტია და ტრამპისნაირი არ არის.

***– ბოლო პერიოდში დაიწყეს სალომე ზურაბიშვილის განცხადებების გაკონტროლება, ყოველ შემთხვევაში, აღარ იყო მისი მხრიდან ისეთი ხმაურიანი განცხადებები ბოლოს, როგორც ეს თავიდან ხდებოდა.***

– კი, დაიწყეს. მაგრამ აქ პიროვნულ ფაქტორებს აქვს მნიშვნელობა. სალომემ თავად დაიჯერა, რომ მართლა ევროპელია და ევროპული სტილის კამპანიას ატარებს აზიაში. მე ევროპელი ვარ და ამიტომ მაკრიტიკებენ ასე მძიმედო. ამიტომ ის ვის დაუჯერებდა.

ჩვენი ხელისუფლების ანალიტიკურ სამსახურებზე დიდი წარმოდგენის არ ვარ, არც მათ ინტელექტუალურ რესურსზე. რამდენიმეს ვიცნობ და ვიცი მათი შესაძლებლობები. უბრალოდ, ახლა არ მინდა, გვარები დავასახელო. იმათი ბრალიც არის ეს ვითარება.

***– პირველ ტურში სალომე ზურაბიშვილის მიმართ უარის თქმა არის თუ არა გზავნილი რუსეთისთვის, რომ ქართველი ხალხი არ არის თანახმა, მასთან ურთიერთობაში პოზიციები დათმოს?***

– რასაკვირველია. თვითონ ის ფაქტი, რომ პრორუსულობა მიუღებელია, გამოჩნდა. ერთია რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების პოლიტიკა, ოღონდ არა – ეროვნული ინტერესების ხარჯზე, მეორეა პრორუსულობა. გუშინ ვუსმენდი, ჩვენი თანამოქალაქე ამბობდა, რომ რუსეთი ჩვენ ვაქციეთ მტრად. ეს პრორუსულობაა.

***– სოციალურ ქსელებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა სალომე ზურაბიშვილმა უარი თქვას კანდიდატობაზე. მივა აქამდე საქმე?***

– არა, ამას არ გააკეთებს. არ მოახსნევინებს „ოცნება“, ვინაიდან მათ უკანდასახევი ყველა ხიდი დაწვეს. მათ თქვეს, ეს ჩვენი ღირსების საქმეაო. დევიზად ჰქონდათ გამოთქმა, სალომეს გამარჯვება ჩვენი ღირსების საქმეაო. ახლა რომ მოხსნას, მათი აღქმით გამოვა, რომ მათ ღირსება არ აქვთ.

სტალინი მზად იყო, ყოველ ნაბიჯზე უკან დაეხია და იხევდა კიდეც, როგორც კი წააწყდებოდა სერიოზულ წინააღმდეგობას. მაგრამ ეს შიშით კი არ მოსდიოდა, ეს იყო გათვლა. დღეს კი, როგორც ჩანს, ყველა საშუალებით „ოცნება“ შეეცდება, სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი გახადოს.

***– მათ შორის გაყალბებაზეც წავა?***

– მე ვთქვი – ყველა საშუალებით.

# ლევან ჩაჩუა: „ივანიშვილი ნაციონალებს განზრახ ამარჯვებინებს“



მარიამ მჭედლიშვილი

## „იგეგმება ნაცმოძრაობისა და მისი განაყოფების ხელისუფლებაში დაბრუნება სააკაშვილის გარეშე“

**საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ განვითარებულ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.**

**ლევან ჩაჩუა:**

– ყოველთვის ვამბობდი, რომ ივანიშვილი გარე ძალებმა ორი ვადით მოიყვანეს ხელისუფლებაში და ამ პერიოდის გასვლის შემდეგ იმავე ივანიშვილის ხელშეწყობით მოხდებოდა ნაცმოძრაობისა და სხვადასხვა სახელის მქონე ყოფილი ნაციონალების დაბრუნება.

***– საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგებით დაგრჩათ ასეთი შთაბეჭდილება?***

– მეორე ტურში წარმატების რეალური შანსი აქვს ნაცმოძრაობის კანდიდატ ვაშაძეს. ივანიშვილი განზრახ ამარჯვებინებს ნაცმოძრაობას. ეს პირველი ეტაპია. მეორე საპარლამენტო არჩევნების დროს იქნება.

გადავხედოთ, რა ხდებოდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ბიძინა ივანიშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ „ქართულ ოცნებაზე“ გულაცრუებულ ხალხს ხელისუფლების მიმართ დაუფარავი ზიზღი გასჩენოდა. მარიხუანის ლეგალიზება არ გვაკმარა და კულტივაციასა და ექსპორტსაც აპირებს. მარიხუანის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში მოიგო „გირჩმა“, რომელიც ივანიშვილის შექმნილია.

ნიშანდობლივია, რომ ამ პარტიის კანდიდატმა, ყველანაირი ნარკოთავისუფლების აპოლოგეტმა ჯაფარიძემ ხმების არც ისე ცოტა რაოდენობა მიიღო. მასზე ბევრად მაღალი შედეგი ჰქონდა „ევროპული საქართველოს“ კანდიდატ ბაქრაძეს.

***– ამ კანდიდატებზე რატომ ამახვილებთ ყურადღებას?***

– იმიტომ, რომ „გირჩი“ და „ევროპული საქართველო“ ივანიშვილის მიერ არის დაარსებულ-დაფინანსებული და ნაცმოძრაობისგან გამოყოფილი. არსებული გეგმით, ეს პარტიები, სააკაშვილის გარეშე, უნდა შევიდნენ მომავალ პარლამენტში ნაცმოძრაობასთან ერთად, ასევე – მომავალ კოალიციურ მთავრობაში.

გიგა ბოკერია მოიაზრება მომავალი კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრად. ამ არჩევნებზე ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე გაემიჯნნენ ნაციონალურ მოძრაობას და დაგმეს სააკაშვილის რეჟიმი, ხელმეორედ გადაიქცნენ ნაცმოძრაობის ამომრჩევლებად.

***– მართლაც, არიან ადამიანები, რომლებიც „ოცნების“ ლიდერების ბოლოდროინდელმა განცხადებებმა 2008 წლის ომის, კანაფის, „იაფი“ სამსართულიანი სასახლეების, ფარცხალაძის შესახებ, ასევე ხალხის მიმართ ქედმაღლურმა და აგდებულმა დამოკიდებულებამ პროტესტის ნიშნად მიიყვანა საარჩევნო უბანზე.***

– ეს აშკარაა. მე იმ კატეგორიაზე ვამბობ, რომელმაც 6 წლის წინ უარი უთხრა ნაციონალურ მოძრაობას. ამ ადამიანებიდან ბევრს არ უნდოდა არჩევნებზე მისვლა, მაგრამ პროტესტმა აიძულა – „ქართული ოცნება“ გამომწვევად იქცეოდა, მისი საპრეზიდენტო კანდიდატი ისეთ განცხადებებს აკეთებდა, რომ ან ქილიკის საგანი ხდებოდა, ან აღელვების.

ამ ხალხმა გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება როგორც „ქართული ოცნების“, ისე პიროვნულად ზურაბიშვილის მიმართ.

***– ხელისუფლების გადაბარებაში, თუ ასეთი გეგმა ხორციელდება, „ქართული ოცნების“ უმრავლესობა არ იქნება ჩართული. ისინი მიმდინარე მოვლენებზე განსხვავებულ აზრს მაინც არ გამოთქვამენ?***

– არა. „ოცნებაში“ განსხვავებული აზრი არ გამოითქმება. ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგი წინა პარლამენტში ბევრი იყო, მაგრამ წინააღმდეგ ხმა ვერც ერთმა ვერ მისცა.

***– როცა ანტიდისკრიმინაციულ კანონს იღებდნენ, მაშინ „ქართული ოცნება“ ზენიტში იმყოფებოდა. ახლა ხელისუფლება ხელიდან ეცლება და მისი წევრები ახლაც ყველაფერზე პირში წყალს ჩაიგუბებენ?***

– ისინი ივანიშვილს ვერაფერს გაუბედავენ. ეს ადამიანები ხომ ჩვეულებრივი პოლიტიკოსები და დეპუტატები არ არიან! აქ ბატონყმური ურთიერთობებია. თანამედროვე სახელმწიფოსთვის ეს წარმოუდგენელია, მაგრამ ასეა.

***– გრიგოლ ვაშაძის გარშემო სხვა პარტიებიც გაერთიანდებიან?***

– „ევრონაცებმა“ ღიად გამოაცხადეს, რომ ვაშაძის სასარგებლოდ იმუშავებენ. რამდენიმე პარტია იტყვის, რომ საჭიროა დარაზმვა ხელისუფლების კანდიდატის წინააღმდეგ. ფარული გეგმის ორგანიზატორებს უნდათ, ხალხიც დააჯერონ, რომ გასაკეთებელია არჩევანი ბოროტებასა და ნაკლებ ბოროტებას შორის.

***– სინამდვილეში, როგორ არის საქმე?***

– სინამდვილეში, ნეიტრალურმა ხალხმა ამ უზნეობაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. ნეიტრალურში ვგულისხმობ იმათ, ვინც ქოცებისა და ნაცების კოორდინატორები არ არიან. ზურაბიშვილი თუ წააგებს, საზოგადოებას დააბრალებენ და ეტყვიან, ეს თქვენი გამოუცხადებლობის ბრალიაო. ამ ფარსში ჩაბმა თავის მოტყუებაა. როცა ადამიანი ვინმეს ირჩევს, ის ინაწილებს პასუხისმგებლობას. თუ მისი რჩეული უზნეო და დამანგრეველ გადაწყვეტილებებს მიიღეს, მასაც მოეკითხება.

ჯობია, ამომრჩეველმა მეორე ტურს მდუმარე პროტესტი გამოუცხადოს. ივანიშვილს 2012 წლიდან უნდა ორპარტიული სისტემის შექმნა. მრავალპარტიულობას ის დაარქმევს „გირჩისა“ და „ევრონაცების“ ხელისუფლებაში მოყვანას. მთავარია, ჩვენ ყველამ ერთად ხელი შევუწყოთ მესამე, ქართული ძალის შექმნას პოლიტიკაში და ეს ოდიოზური ძალები ქვეყანას ველარაფერს დააკლებენ.

# რეზო არველაძე: „მე ყოველთვის ვამბობდი, რომ სალომეს დაყენება სწორი არ იყო“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი რევაზ არველაძე პასუხობს.**

***– ბატონო რევაზ, ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები და ვხედავთ, რომ მეორე ტურია საჭირო. რა შეცდომები დაუშვა ხელისუფლებამ?***

– თავის დროზე, როდესაც იყო განხილვები, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თქვა, თუ პირველ ტურში ვერ გაიმარჯვა ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა გუნდმა ვერ იმუშავა კარგადო.

***– ანუ გუნდის ბრალია?***

– რა თქმა უნდა. საარჩევნო კამპანიას თავისი წესი აქვს. ხომ ნახეთ, როგორ გააფთრებულად მუშაობდნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. არ ერიდებოდნენ არანაირ ეპითეტებს და ყველაფერზე მიდიოდნენ.

***– კომპრომატების ომით მოიგეს?***

– რა თქმა უნდა. ამითაც მოიგეს და იმითაც მოიგეს, რომ მოგებული კი არ იგებს, წაგებული აგებინებს. როდესაც ერთი მხარის უკმაყოფილოა მოსახლეობა, იმას აღარ უყურებს, მეორე მხარე ივარგებს თუ არ ივარგებს და ამის წინააღმდეგ აძლევს ხოლმე ხმას.

***– ფაქტია, რომ მოსახლეობაში ძალიან დიდია იმედგაცრუება. სხვა შემთხვევაში ეს შედეგი არ გექნებოდათ.***

– სამწუხაროდ, არის, მაგრამ მოსახლეობა იმას ვერ აცნობიერებს, რომ ძალიან ბევრი რაღაცა „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეასრულა სწორედ იმიტომ, რომ გააფთრებული ხელს უშლიდა ნაციონალური მოძრაობა.

***– კი მაგრამ, ხელისუფლებაში თქვენ ხართ, ძალაუფლება თქვენს ხელშია. ის ხომ არ იყო შეცდომა, თქვენს რიგებში რომ დატოვეთ ამდენი ნაციონალი?***



– მე სულ მუდმივად ამას ვლაპარაკობ, რომ ეს არ იყო სწორი. სწორედ ამას ამბობენ დიდი პოლიტიკოსები, რომ ძველი ხელისუფლებიდან არავინ არ უნდა დატოვო საკვანძო თანამდებობებზე და ეს არ გააკეთეს.

როცა მართავ ქვეყანას, მაქსიმალურად უნდა ეცადო, რომ ხელი არავინ შეგიშალოს. როდესაც ასეთი ხელის შეშლა არის ამერიკელი სენატორების დონეზე, ევროპელი პარლამენტარების დონეზე, რომ ეს ხელისუფლება არ ვარგა და რუსეთის მოყვანილია და არის მთელი ამბავი, ძნელია, რომ შენი დანაპირების მაქსიმუმი შეასრულო. თუმცა ამას ხომ მოსახლეობა აღარ უყურებს. ის უყურებს იმას, რომ შენ რაც თქვი, ის ვერ გააკეთე. მოსახლეობა მიზეზებს აღარ ეძებს, არ კითხულობს, რატომ ვერ გააკეთე. ის შედეგებს უყურებს.

***– დრო არც ისე დიდია, მაქსიმუმ ერთი თვე.***

– ვადა არის მაქსიმუმ 2 დეკემბერი, მეტი გადაცილება არ შეიძლება. შესაძლოა, უფრო ადრეც დაინიშნოს. ძალიან დიდი მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ, მართალია, ამ ეტაპზე ვერ გაიმარჯვე, მაგრამ აჩვენო ხალხს, რომ ჩვენ კიდევ შეგვიძლია რაღაცა და არც ისეა საქმე, რომ ნაციონალებისგან, რომლებიც დიდ უბედურებას ატრიალებდნენ, ჩვენ რაიმე გვქონდეს სასწავლებელი.

***– როდესაც პარტიის გენერალური მდივანი კახა კალაძე გამოდის და აცხადებს, რომ შეცდომა იყო სალომე ზურაბიშვილის წარდგენა, ამაზე რას იტყვით?***

– თქვა ეს კახა კალაძემ? მე არ მომისმენია, სიმართლე რომ გითხრათ. მე გეტყვით ერთ რაღაცას, როდესაც ამ მიმართულებით დადგა საკითხი, მე ვიყავი პირველი, რომელმაც ვთქვი, რომ ეს გადაწყვეტილება არ არის სწორი.

***– რატომ?***

– იმიტომ კი არა, რომ მე სალომე ზურაბიშვილის საწინააღმდეგო მქონდა რაღაცა. მე ვლაპარაკობდი იმას, რომ როდესაც ხარ მმართველი პარტია, მმართველი ძალა, არ შეიძლება, საკუთარი კანდიდატურა არ გყავდეს.

აი, ამას ვთვლი მე არასწორად, რომ თავისი რიგებიდან არ წარადგინა. თუმცა მაშინვე განვაცხადე, რომ თუ უმრავლესობა გადაწყვეტს, მეც მხარს დავუჭერ ამ კანდიდატურას-მეთქი და დავუჭირე კიდევაც მხარი.

პირადად მე მივეცი ხმა სალომე ზურაბიშვილს, მაგრამ ჩემნაირები არ აღმოჩნდნენ საკმარისი, რომ პირველ ტურშივე გამარჯვება მოგვეპოვებინა. პირდაპირ გეუბნებით, რომ ყოფილიყო თვითონ „ქართული ოცნების“ რიგებიდან წარდგენილი კანდიდატი და იქ ღირსეული ბევრია, პირველ ტურში იქნებოდა გამარჯვება.

***– როდესაც ასეთ კრიტიკულ განცხადებებს ისმენს სალომე ზურაბიშვილი, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ მან მოხსნას საკუთარი კანდიდატურა. მაშინ რას შვრება „ქართული ოცნება“, ხომ ავტომატურად გრიგოლ ვაშაძე იმარჯვებს?***

– არა მგონია, რომ მოხსნას კანდიდატურა. რატომ უნდა მოხსნას, ამდენი წვალებისა და ბრძოლის მერე რატომ უნდა მოხსნას კანდიდატურა. არც ის ვიცი, რატომ უნდა ეთქვა კახა კალაძეს ასეთი რამ! მე არ გამიგია, რომ ეთქვას. რადგან გადაწყვეტილება იყო, ყველა უნდა ვიყოთ ერთსულოვანი. მაშინ თავიდანვე უნდა ეთქვა, როცა ამ გადაწყვეტილებას ვიღებდით, არ არის სწორი ეს გადაწყვეტილებაო. მაშინ არავის არაფერი უთქვამს. ჩემ გარდა, ერთი-ორმა წევრმა თუ თქვა, პარლამენტის წევრები მყავს მხედველობაში, რომ არ მოსწონდათ კანდიდატურა. დანარჩენებისგან არ ვიცი.

***– სულ იყო საუბარი, რომ გუნდში იყო დიდი წინააღმდეგობა, რომ ძალიან ბევრს არ მოსწონდა სალომეს კანდიდატურა, მაგრამ ვერ შეეწინააღმდეგნენ ივანიშვილის სურვილს. ასეა?***

– ნამდვილად არ ყოფილა ეგრე, ხომ გეუბნებით, სულ ცალ ხელზე დასათვლელი ვიყავით, ვინც განსხვავებული აზრით გამოვიდა და თქვა, რომ ეს არის არასწორი გადაწყვეტილება. ძალიან ბევრი ნამდვილად არ ყოფილა. მერე რომ იციან, მეც ეგრე ვიყავიო და სინამდვილეში ჩუმად არის, ეგეთი ხალხი თუ იტყვის მაგას.

***– ბატონო რევაზ, დიდი ალბათობაა იმისა, რომ გრიგოლ ვაშაძემ მოიგოს მეორე ტური. მაშინ რა რეალობის წინაშე დგება „ოცნება“?***

– მე არა მგონია, რომ ძალიან დიდი ალბათობა იყოს მაგისი. პირველი ტურის გავლის შემდეგ მე ვიტყოდი, რომ სიტუაცია არის 50/50-ზე. ვინ როგორ იმუშავებს ამ ერთი თვის განმავლობაში, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი შედეგი იქნება.

***– ერთ თვეში შეძლებს „ოცნება“ 6 წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას? რაზე მიუთითებთ თქვენ, რა უნდა გააკეთდეს პირველ რიგში?***

– მთავარი ის არის, რომ ნამდვილად უნდა დაანახოს „ქართულმა ოცნებამ“ მოსახლეობას, რომ მიუხედავად იმ დიდი ხელის შეშლისა, ჩვენ უნდა დავანახოთ ხალხს, რა შეგვიძლია, მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ. ოპოზიციამ უნდა გაკრიტიკოს და იმისთვისაა ოპოზიცია, მაგრამ, რასაც ესენი აკეთებენ, ეს სულ სხვა რამეა. პირდაპირ ლანძღვა-გინებაზე არიან გადასული.

***– თუმცა ხელისუფლებას უნდა შეძლებოდა მათი მოგერიება და სათანადო პასუხის გაცემა. „ოცნებაა“ ხელისუფლება და არა – ნაციონალური მოძრაობა.***

– სწორედ ეს თქვა ბიძინა ივანიშვილმა, თუ ჩვენ ვერ მოვიგეთ პირველ ტურში, ესე იგი ვერ იმუშავა ჩვენმა გუნდმა კარგადო და მეც ვთვლი, რომ სახეზე ეს არის.

***– რა თქვა ბიძინა ივანიშვილმა პირველი ტურის შემდეგ?***

– არ ვიცი, ჯერ არ შევხვედრილვართ. ამ დღეებში ალბათ იქნება შეხვედრა და იმისი ანალიზიც იქნება, რატომ დადგა ასეთი შედეგი.

# ალექსანდრე ძნელაძე: „რეგულაციების გადადება ბიზნესსექტორისკენ დიდი ნაბიჯის გადადგმაა“



„საქართველოს საბანკო ასოციაციის“ პრეზიდენტი ალექსანდრე ძნელაძე საბანკო რეგულაციების გადავადებასთან დაკავშირებით პირველ კომენტარს „კომერსანტთან“ აკეთებს. როგორც ცნობილია, საბანკო რეგულაციები 1 ნოემბრიდან აღარ ამოქმედდება. ამის შესახებ ინფორმაცია „კომერსანტს“ ეროვნულ ბანკში განუცხადეს. მათი განცხადებით, დაგეგმილი რეგულაციები მარტივდება და ამჟამად, მარეგულირებელი ტექნიკურ დეტალებზე მუშაობს.

რატომ გადაიდო რეგულაციების ამოქმედება, რა მიმართულებით მარტივდება და პროცესში ჩართულია თუ არა საბანკო სექტორი, ამაზე ეროვნულ ბანკში არ საუბრობენ. „საბანკო ასოციაციის“ ხელმძღვანელი ალექსანდრე ძნელაძე კი აცხადებს, რომ მიზეზი იმისა, თუ რატომ გადაიდო რეგულაციების ამოქმედება, კომპლექსურია. მისი თქმით, ეროვნული ბანკისთვის, მთავრობის ეკონომიკური გუნდისთვის და ყველა მხარისთვის კომპლექსურად იქნა მიწოდებული ინფორმაცია რეგულაციების ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებით.

– რეალურად, მუდმივად მიმდინარეობდა მუშაობა როგორც ეროვნულ ბანკთან, ასევე პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან და ბიზნესომბუდსმენთან. აქ იყო საუბარი, თუ რა მოლოდინი გვაქვს ჩვენ და აღნიშნული რეგულაციის იმ ფორმით ამოქმედების შემდეგ რა ეფექტი ექნებოდა ეკონომიკაზე და საკრედიტო პორტფელზე, ეს კი მნიშვნელოვნად განსხვავდება ეროვნული ბანკის მოლოდინებისგან, – აცხადებს ძნელაძე.

რაც შეეხება იმას, თუ რა კუთხით გამარტივდება რეგულაციები, ძნელაძე ამაზე არ საუბრობს და აცხადებს, რომ ამაზე ამ ეტაპზე ამაზე საუბარი ნაადრევია. მისი განმარტებით, მნიშვნელოვანია ის, რომ კონსულტაციები გრძელდება და პროცესში ჩართულია როგორც „საბანკო ასოციაცია“ ისე კომერციული ბანკები.

„კომერსანტის“ კითხვაზე, რეგულაციების გადავადება ნიშნავს თუ არა იმას, რომ მთავრობა და ეროვნული ბანკი დათმობაზე წავიდა, ძნელაძე აღნიშნავს, რომ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ბანკის მხრიდან ეს არის ძალიან დიდი ნაბიჯის გადადგმა ბიზნესის სექტორისკენ. მისი განმარტებით, ამის არ აღიარება შეუძლებელია. „კონსულტაციები გაგრძელდება და მუშაობის მიმდინარეობასა და დამატებით დეტალებს შემდეგ გაგიზიარებთ“, – აცხადებს ძნელაძე.

როდემდე გადავადდა საბანკო რეგულაციების ამოქმედება, ამას „ბანკების ასოციაციის“ პრეზიდენტი ვერ აკონკრეტებს.

2018 წლის პირველი ნოემბრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის ახალი რეგულაციები უნდა ამოქმედებულიყო. კერძოდ, ბანკებს უნდა დაუწესდეთ შეზღუდვა სესხის გაცემის პოლიტიკასთან დაკავშირებით – მათ მოუწევთ უფრო მკაცრად შეაფასონ მომხმარებლის (სესხის მსურველის) გადახდისუნარიანობა და სესხების გაცემის პოლიტიკა გაამკაცრონ. საუბარია რეგულაციებზე, რომლის თანახმად: იპოთეკაზე წესდება მაქსიმუმ 15-წლიანი ლიმიტი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი მაქსიმუმ 10-წლიანი იქნება, ავტოსესხი მაქსიმუმ 6-წლიანი, ნებისმიერი ტიპის სესხის ხანგრძლივობა 4 წელს არ უნდა აჭარბებდეს.

# „იმედია, ფიზიკური პირების კრედიტზე ყოველთვიურად გადასახდელი თანხის კოეფიციენტიც გადაიხედება“



– იმედს გამოვთქვამთ, ცვლილებები, რომელიც ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ დებულებაში განხორციელდება, სესხზე ყოველთვიურად გადასახდელი თანხის აქამდე გაწერილ კოეფიციენტებს შეეხება, – ამის შესახებ პირველ არხს ახალი საბანკო რეგულაციების გადავადებასთან დაკავშირებით „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე გიორგი კეპულაძემ განუცხადა.

მისი შეფასებით, დებულების პროექტი კომერციული ბანკებისთვის, ქვეყნის ეკონომიკისა და საბანკო მომხმარებლებისთვის პრობლემებს რეალურად ქმნიდა.

– ვიმედოვნებ, ცვლილებები, რაც განხორციელდება, თუნდაც ტექნიკური, შეეხება კონკრეტულად სესხზე ყოველთვიურად გადასახდელი თანხის აქამდე გაწერილ კოეფიციენტებს, რაც არსებულთან შედარებით ძალიან შემცირებული იყო. იმედია, ეს გაიზრდება და აღარ შეუქმნის პრობლემას კომერციულ ბანკებს სასესხო პორტფელის ზრდასთან დაკავშირებით, – განაცხადა კეპულაძემ.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა ბანკმა ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები გაითვალისწინა.

– მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა ბანკმა გაითვალისწინა საბანკო ასოციაციის, კომერციული ბანკების, სავალუტო ფონდის რეკომენდაცია, მათ შორის ჩვენი ორგანიზაციის და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიცია, რომ არსებული სახით ამ რეგულაციების შემოღება მნიშვნელოვან პრობლემას შეუქმნიდა საბანკო სექტორსა და მთლიანად ბანკების მომხმარებლებს, – განაცხადა „საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელმა.

მისი განმარტებით, ქვეყნის ეკონომიკას საბანკო სექტორი აფინანსებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ბანკებს პრობლემა არ შეექმნათ.

– მოგვწონს თუ არა, საბანკო სექტორი აფინანსებს ქვეყნის ეკონომიკას. შესაბამისად, თუ საბანკო სექტორს ექმნება პრობლემები, ის ვერ აფინანსებს სათანადოდ ეკონომიკას და პრობლემა ექმნება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას. შეიძლება, გაგვიხარდეს ბანკების მოგების შემცირება, მაგრამ რეალურად, ბანკების მოგების შემცირება ნიშნავს ნაკლებ ეკონომიკურ აქტივობას, ნაკლებ გადასახადებს ბიუჯეტში და ნაკლებ ეკონომიკურ ზრდას, – განაცხადა გიორგი კეპულაძემ.

ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ დებულების ამოქმედება, რომელიც პირველი ნოემბრიდან იგეგმებოდა, გადავადდა. როგორც პირველ არხს ეროვნულ ბანკში განუცხადეს, დაგეგმილი რეგულაციები შერბილდა და ტექნიკური დეტალების დაზუსტება მიმდინარეობს.

მოგვიანებით, ეროვნულმა ბანკმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ დებულების განახლებულ სამუშაო ვერსიაში ასახულია ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ყველა ძირითადი ტექნიკური სახის შენიშვნა, თუმცა რეგულირების მთავარი პრინციპები უცვლელი რჩება. ბანკის ინფორმაციით, ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ განახლებული დებულება, სავარაუდოდ, არაუგვიანეს 15 ნოემბრისა ამოქმედდება.

# ხის სახერხ საამქროებს რეგისტრაციის ხელახლა გავლა მოუწევთ



სახერხი საამქროს ტექნიკურ რეგლამენტში გარკვეული ცვლილება შევიდა. ამის შესახებ მთავრობის 8 ოქტომბრის დადგენილებაშია აღნიშნული.

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, ხის საამქროები, რომლებსაც რეგისტრაცია 2019 წლის 1-ლ იანვრამდე ექნებათ გავლილი, ვალდებულნი იქნებიან, მომავალი წლის 4 აგვისტომდე საამქროები ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანონ.

ამასთან, დადგენილების თანახმად, სახერხ საამქროებს ვალდებულება ექნებათ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში განმეორებითი რეგისტრაციის მოთხოვნა წარადგინონ.

ამასთან, როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, რეგლამენტით გათვალისწინებული ზოგიერთი მოთხოვნის მოქმედება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე შეჩერდება. მათ შორის, არ იქნება სავალდებულო რომ სახერხი საამქროს სახერხი დანადგარი განთავსდეს დახურული ტიპის კაპიტალურ ნაგებობაში; სახერხ საამქროში დასაქმებული პერსონალის აირწინაღებით, პერსონალური ხმაურდამცავი საშუალებებით აღიჭურვონ; სახერხ საამქროში ვიდეომონიტორინგის სისტემა იყოს დამონტაჟებული და ა.შ.

**ბპნ**

# ბიზნესომბუდსმენი გადამზიდავებსა და რკინიგზას შორის დავაში არ ჩაერევა



ბიზნესომბუდსმენის აპარატი გადამზიდავი კომპანიებსა და საქართველოს რკინიგზას შორის მიმდინარე დავაში ჩარევას არ აპირებს. როგორც ირაკლი ლექვინაძემ ბმ.გე-სთან საუბრისას განაცხადა, ეს ორ კერძო სუბიექტს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობაა, რაც მათი უფლებამოსილების ფარგლებს სცილდება.

– ბიზნესომბუდსმენი განიხილავს განცხადებას, რომელიც შეეხება პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მათ მიერ დასმული საკითხი ეხება ორ კერძო სამართლის სუბიექტს შორის არსებულ კერძო სამართლებრივ ურთიერთობას, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მონაწილეობა მივიღოთ მათ განცხადებაში დასმული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში. საქართველოს რკინიგზა არის სახელმწიფო კომპანია და არა ადმინისტრაციული ორგანო, შესაბამისად აღნიშნული დავა განიხილება როგორც დავა ორ კერძო სუბიექტს შორის, – განაცხადა ლექვინაძემ.

შეგახსენებთ, რომ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გადამზიდავმა კომპანიებმა, ,,საქართველოს რკინიგზა“ კორუფციულ გარიგებებში დაადანაშაულეს და განაცხადეს, რომ უკვე თვეებია, რკინიგზის საშუალებით ტვირთების სომხეთის მიმართულებით გადაზიდვას ცდილობენ, თუმცა ნებართვის მიღება ამ დრომდე ვერ მოახერხეს. რკინიგზას გადამზიდავებთან კომუნიკაცია შეწყვეტილი აქვს. ამ პრობლემის შესახებ კომპანიებმა საქმის კურსში ჩააყენეს ბიზნესომბუდსმენის აპარატიც.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს რკინიგზა 100% საპარტნიორო ფონდის მფლობელობაშია, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფო ფონდია.

**ბმ.გე**

# ზურაბ გურული: „ზურაბიშვილის კანდიდატურა ბიძინა ივანიშვილს რუსულმა ფსბ-მ ურჩია“

ზურაბ გურული, აშშ-ის მონტგომერის სახელობის ფედერალური კლინიკის ანესთეზიისა და ქირურგიის დეპარტამენტების დირექტორი, ასევე მისისიპის უნივერსიტეტის კლინიკური ანესთეზიოლოგიის პროფესორი, საპარლამენტო არჩევნებს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა, რომელსაც „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ:

– დღეს უკვე სრული პასუხისმგებლობით შეიძლება იმის თქმა, რომ არა სალომე ზურაბიშვილის წამოწევა პრეზიდენტობის კანდიდატად, გაერთიანებულ ოპოზიციას პრაქტიკულად შანსი არ ექნებოდა ივანიშვილის კონგლომერატის წინააღმდეგ. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ მიღებული პროცენტები ამაზე აშკარად მიუთითებს. ცხადია საქართველოსათვის ეს გამოდგა ბედნიერი, წინასწარ გაუთვლელი შემთხვევითობა, მაგრამ ამ შემთხვევითობას აქვს თავისი ლოგიკური საფუძვლები, რომელზეც მხოლოდ ლოგიკური სპეკულაცია შეიძლება.

რატომ დაასახელა ბიძინა ივანიშვილმა სალომე ზურაბიშვილი სამთავრობო კანდიდატად? რატომ იცავდა ის ბოლომდე კბილებით ქართველთათვის ამ სრულიად ალოგიკურ პიროვნებას და რატომ დაუპირისპირდა ის მთელ თავის გუნდს ამ საკითხთან დაკავშირებით? რატომ არ ამბობს ივანიშვილი გულახდილად თუ ვინ ურჩია, ან უფრო სწორად ვინ დაავალა მას ზურაბიშვილის წარდგენა და მხარდაჭერა?

ამ კითხვებზე პასუხი მისი გუნდის წევრებსაც არა აქვთ და ცხადია თავად ივანიშვილიც ვერაფერს ამბობს. ერთადერთი ლოგიკური სპეკულაცია არის ის, რომ ზურაბიშვილი ფსბ-ს მიერ მიწოდებული კანდიდატურა იყო. ბუნებრივია, ივანიშვილი ვერაფერს იტყვის, რადგან ამის აღიარება მას სასიკვდილო საფრთხის წინაშე დააყენებს. რუსული დაზვერვა და თავად პუტინი მას არ აპატიებს ამ ინფორმაციის გაჟონვას.

არადა, მინიშნება უამრავი იყო, რასაც ბევრი გონიერი ადამიანი კარგად ამჩნევდა. თუნდაც ის ფაქტი, რომ ზურაბიშვილისათვის მისაბაძი დიპლომატი გაქნილი დემაგოგი ლავროვია; რომ პრეზიდენტობის კანდიდატი აქტიურად იყო ჩართული ანტიეროვნულ საქმიანობაში 90-იან წლებში და რუსული აგენტურის მიერ ინფილტრირებული ევროპული სააგენტოების მეშვეობით ათასნაირ სიბინძურეს ავრცელებდა პრეზიდენტ გამსახურდიაზე.

– და მაინც, რა ვერ გათვალა ფსბ-მ და სად დაუშვა სერიოზული შეცდომა?



– ჩემი აზრით, პასუხი მარტივია; ფსბ-ს ქართული ქსელის რუსმა კურატორმა, უბრალოდ, ქართულიც არ იცის წესიერად და ვერ მიხვდა, თუ რამდენად ბრიყვულად და კომიკურად ჟღერდა ზურაბიშვილის ჩიქორთული ქართულით გაკეთებული განცხადებები და რა ნეგატიურ გავლენას მოახდენდა ეს განცხადებები იუმორის დამფასებელ ქართველებში. ფსბ-ს რეზიდენტმა უბრალოდ იმსჯელა ზურაბიშვილის დოსიეთი, რომლის მიხედვითაც ის მართლაც იდეალური კანდიდატია აოცნებებულ საქართველოში. მენშევიკური ემიგრაციის შთამომავალი ე.წ. ფესვების სენტიმენტებით ზედმეტად აჟიტირებულ ქვეყანაში, თანაც ქალი, დაახლოებული თბილისურ წითელ ინტელიგენციასთან და საბჭოთა ხელოვნების მუშაკებთან; პუტინთან და რუსულ იმპერიულ ისტებლიშმენტთან უაღრესად დაკავშირებული მისი უახლოესი ნათესავი ქალი კი უკვე უძლიერეს საფუძველს ქმნიდა მის სასარგებლოდ. პირველი სასინჯი ექსპერიმენტი უკვე ჩატარებულიც იყო მთაწმინდის უბანში, სადაც მან დამაჯერებლად გაიმარჯვა. ასე მიაწოდეს ივანიშვილს სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა და უბრძანეს მისი მხარდაჭერა. 2018 წლის 19 სექტემბერს საზოგადოებას ის თავად ქართული ოცნების გენერალურმა მდივანმა კალაძემ წარუდგინა. კახა კალაძემ სცენიდან განაცხადა, რომ ზურაბიშვილი ყველაზე ღირსეული კანდიდატია. ზურაბიშვილის მთავარი ლობისტი კი პარლამენტის ვიცესპიკერი გია ვოლსკი იყო, ძველი, გამოცდილი პარტმუშაკი.

დღეს ოპოზიციისა და პოზიციის ლიდერების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან აშკარად ჩანს, რომ საკმარისი იყო ოცნებას სხვა პიროვნება, თუნდაც იგივე კალაძე წაეყენებინა პრეზიდენტობის კანდიდატად, არჩევნები პირველივე ტურში იქნებოდა დასრულებული გამარჯვებით. ქართველ საზოგადოებას ეყო იმის შეგნება და, დარწმუნებული ვარ, ბოლომდე ეყოფა, რომ ფსბ-ს კანდიდატურისათვის უარი ეთქვა. ყველამ ნათლად გააცნობიერა ის საშიშროება, რომელსაც ეს ქალბატონი მოუტანდა ქვეყანას ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებით. მისი მოღვაწეობის მთავარ პროექტად ხომ ზუსტად ამ რეგიონების პრობლემის მოგვარება იყო დაანონსებული. არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს უაღრესად საშიში ავანტიურა საქართველოს სახელმწიფოსათვის და მთელი პასუხისმგებლობა ამ უბედურებაზე პირდაპირ და უპირობოდ დაეკისრებოდათ ოპოზიციის იმ უპასუხისმგებლო ლიდერებს, რომლებმაც საჭირო მომენტში განზე გადგომა არჩიეს.

სწორედ ამ განწყობით უნდა შეუდგეს მომზადებას მეორე ტურისათვის ქართული ოპოზიციური სპექტრი. ბუნებრივია, ამ სპექტრის ბევრ გონიერ წარმომადგენელს აბსოლუტურად ლოგიკური და ობიექტური მიზეზები აქვს ანტიპათიურად იყვნენ განწყობილნი გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატის მიმართ, მაგრამ ქართული სახელმწიფოს ინტერესები უზენაესია და ე.წ. სამთავრობო კანდიდატის, რეალობაში კი ფსბ-ს მიერ შერჩეული ტროას ცხენის დამარცხება ყველა სხვა არგუმენტს ბევრად აღემატება.

# მერაბ მორჩაძის სასამართლოზე მიხეილ კალანდია დაიკითხა



გუშინ, 30 ოქტომბერს, ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეზე მოწმეზე ზემოქმედების ბრალდებით დაკავებული მერაბ მორჩაძის სასამართლოზე მიხეილ კალანდია დაიკითხა.

– მიხეილ კალანდიას მხრიდან დადასტურება იყო, რომ მას თანხა მერაბ მორჩაძემ გადასცა, თუმცა, რა ფორმით ან რა შინაარსით გადასცა თანხა, ეს გარკვეულწილად შესაფასებელია.

ამის შესახებ მოწმეზე ზემოქმედების ბრალდებით დაკავებული მერაბ მორჩაძის ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა განაცხადა.

გაგი მოსიაშვილის თქმით, დასაკითხი პირის მხრიდან კონკრეტულ კითხვებთან დაკავშირებით საინტერესო პასუხი მიიღო სასამართლომ.

– დაკითხული პირის მიერ გარკვეული ინფორმაცია იქნა სასამართლოსთვის მიწოდებული. დასაკითხი პირის მხრიდან კონკრეტულ კითხვებთან დაკავშირებით საინტერესო პასუხი მივიღეთ. დასაკითხი პირის მხრიდან მიღებული ინფორმაცია შესაფასებელია სამართლებრივად და აუცილებლად სამართლებრივი შეფასება გაკეთდება დაცვის მხარიდან.

დაცვის მხარე მიიჩნევს, რომ ინფორმაცია, რომელიც სასამართლოს მიაწოდა, ერთი მხრივ, სამართლებრივად შესაფასებელია, მეორე მხრივ, სანდოობის საკითხია შესაფასებელი. ამიტომ დეტალებზე საუბარი გამიჭირდება.

რა ფორმით ან რა შინაარსით გადასცა თანხა, ეს გარკვეულწილად შესაფასებელია, თუმცა, აღნიშნულის დადასტურება მისი მხრიდან იყო.

მოსამართლისთვის ობიექტური, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია როგორც მტკიცებულებების შეფასება, ასევე მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენების სანდოობის შეფასება. ეს დრო ჯერ არ დამდგარა. ფაქტია, რომ დღეს დაიწყო საქმის არსებითი განხილვა, იკითხებიან ბრალდების მოწმეები.

ხაზგასმით აღვნიშნავ, ბრალდების მოწმემ, რომელიც დაიკითხა დღევანდელ პროცესზე, ბევრ მნიშვნელოვან და საინტერესო დეტალზე გაამახვილა ყურადღება. ინფორმაცია, რომელიც იქნა მიღებული სასამართლოში, დაცვის მხარისთვის შინაარსობრივად საინტერესო იყო, – განაცხადა გაგი მოსიაშვილმა.

* * *

– მიხეილ კალანდიამ ისაუბრა ბრალდების კონკრეტულ ელემენტებზე, რომელიც ბრალად აქვს წარდგენილი მერაბ მორჩაძეს.

ამის შესახებ პროკურორმა მირიან მეგრელიშვილმა პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა.

– დღევანდელ პროცესზე გაიმართა არსებითი განხილვა. დაიწყო ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა. მიხეილ კალანდია მოწმის სახით დაიკითხა. დეტალებზე ვერ მოგახსენებთ, ვინაიდან პროცესი დახურული იყო, თუმცა გეტყვით, რომ მოწმემ დაადასტურა გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებები და ისაუბრა ბრალდების კონკრეტულ ელემენტებზე, რომელიც ბრალად აქვს წარდგენილი მერაბ მორჩაძეს, – აღნიშნა პროკურორმა.

მერაბ მორჩაძე მოწმეზე, კერძოდ მიხეილ კალანდიაზე ზემოქმედების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ახალი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლით 8 ივნისს დააკავეს.

## გარყვნილი ქმედება მცირეწლოვანზე

### იაგო ნებიერიძეს ბრალი დაუმძიმდა



8 წლის გოგონას მკვლელობაში ბრალდებულ იაგო ნებიერიძეს ბრალი დაუმძიმდა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ამის შესახებ განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გააკეთა.

კახა საბანაძის თქმით, ნებიერიძის ბრალდებას დაემატა სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლიც. ეს მუხლი გულისხმობს ძალადობის გარეშე 16 წელს მიუღწეველთან, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ჩადენილ გარყვნილ ქმედებას. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.

– მტკიცებულებაა იმისთვის, რომ გამამტყუნებელი განაჩენი დადგეს. მყარი მტკიცებულებები არსებობს, რომ დაუმძიმდეს ბრალი. გამოძიება გრძელდება, ვსწავლობთ და ვამოწმებთ კონკრეტულ ფაქტებს, მათ შორის 14 წლის წინანდელ ფაქტსაც, – თქვა კახა საბანაძემ.

შეგახსენებთ, თავდაპირველად გამოძიება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე დაიწყო.

8 წლის ბავშვი 25 ოქტომბერს სახლიდან ცეკვის წრეზე შუადღისას გავიდა, მაგრამ დანიშნულ ადგილზე არ მისულა. ოჯახმა პოლიციას შეატყობინა. რამდენიმე საათში ბავშვი მდინარე ლიახვის პირას გარდაცვლილი იპოვეს.

გორში ბავშვის მკვლელობაში ბრალდებული იაგო ნებიერიძე წარსულში ნასამართლევია. დაკავებულის დედის ინფორმაციით, მისმა შვილმა 9-წლიანი სასჯელი მოიხადა და საპატიმრო 9 თვის წინ დატოვა.

## წერეთელზე მე–14 სართულიდან 25 წლის კაცი გადავარდა და გადარჩა




წერეთლის გამზირზე ერთ-ერთი კორპუსის მე-14 სართულიდან 25 წლის მამაკაცი გადმოვარდა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ქირურგიის ეროვნული ცენტრიდან აცნობეს.

როგორც ცენტრში აცხადებენ, 25 წლის მამაკაცი უვნებელი გადარჩა. იგი საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების ბრიგადამ შეიყვანა.

– მამაკაცი აცხადებს, რომ მას ფანჯარასთან ფეხი დაუცდა და ავტოფარეხში ჩავარდა, სადაც პუფებზე დაეცა. პაციენტს სხეულის დაჟეჟილობა აღენიშნება. მას შესაბამისი გამოკვლევები უტარდება და რამდენიმე საათი დაკვირვების ქვეშ იქნება, – განაცხადეს ქირურგიის ეროვნული ცენტრის პრესსამსახურში.

## 29 მოქალაქის მიმართ ჩადენილი თაღლითობისთვის ბრალდებულს 6 წელი მიესაჯა

29 მოქალაქის მიმართ ჩადენილ დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დიდი ოდენობით თაღლითობის ჩადენაში ბრალდებული ლ.ნ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ მოქალაქეების მოტყუებით, თაღლითურად თანხისა და სხვადასხვა ნივთების დაუფლების მიზნით ლ.ნ.-მ დააფუძნა არასამეწარმეო ფონდი „ზრუნვა“.

ლ.ნ. მოქალაქეებს უხსნიდა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია უცხოური დონორებისგან ფინანსდებოდა, რაც გარკვეული სეგმენტის ინტერესებს უნდა მოხმარებოდა, მათ შორის ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ხალხს.

2017 წლის სექტემბრიდან 2018 წლის მაისის ჩათვლით, ის უკავშირდებოდა ნდობაში შესულ პირებს და ჰპირდებოდა, რომ თუკი მის მითითებებს შეასრულებდნენ, მიიღებდნენ ფინანსურ სარგებელს. ლ.ნ.-ს მითითების თანახმად, 29 მოქალაქემ, კონკრეტულ ბანკებთან სესხის და განვადების ხელშეკრულება გააფორმა. ლ.ნ. დაზარალებულებს ჰპირდებოდა, რომ ბანკებთან ფინანსურ ვალდებულებებს თვითონ შეასრულებდა და მათ მიერ განვადებით გამოტანილ ავეჯს და სესხის დიდ ნაწილს მოტყუებით ეუფლებოდა. მეტი დამაჯერებლობისთვის კი მათ თანხებს ჩუქნიდა და ეუბნებოდა, რომ დარჩენილ ვალდებულებებზე არც უნდა ეფიქრათ.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ლ.ნ. არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, რითაც მის მიერ განხორციელებული თაღლითური სქემის გამოყენებით 29 დაზარალებულს 117,367,47 ლარის ქონებრივი ზიანი მიადგა.

სამართალდამცველებმა ლ.ნ. 2018 წლის 1 აგვისტოს სარფის გამშვებ პუნქტზე მაშინ დააკავეს, როცა იგი საზღვრის გადაკვეთას ცდილობდა. ლ.ნ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით თაღლითობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ლ.ნ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## მამუკა ხეცურიანს ინტერპოლი ეძებს

### მას პოლონეთში ახალგაზრდა ქალის გაუპატიურება და მკვლელობა ედება ბრალად



პოლონეთის ქალაქ ლოძის პოლიციამ ძებნა გამოაცხადა საქართველოს 39 წლის მოქალაქე მამუკა ხეცურიანზე, რომელიც დაკავშირებულია 28 წლის პაულინა დ-ს გაუპატიურებასა და მკვლელობასთან.

მასზე ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარითაა გამოცხადებული.

პოლონური მედიის ინფორმაციით, ხეცურიანმა ქალი მიიყვანა საერთო საცხოვრებელში სადაც მშენებლობაზე მომუშავე უცხოელები ცხოვრობდნენ. სამართალდამცავების მონაცემებით, ქალი ცემით მოკლეს და დამნაშავეები სექსუალური მოტივით მოქმედებდნენ. სიკვდილის მიზეზი კისერში მახვილი საგნის, სავარაუდოდ დანის დარტყმა გახდა.

ქალის მკვლელობის შემდეგ მისი ცხედარი დაანაწევრეს და ტყეში გადამალეს. გვამის აღმოჩენა 5 დღის შემდეგ მოხერხდა, ქალის ვინაობა დნმ-ის ანალიზის შედეგად დაადგინეს. ამავე საქმეზე უკვე დაკავებულია 2 პირი: საქართველოს და ბელორუსის მოქალაქეები.

პოლონეთის პოლიციის ინფორმაციით, წარმოშობით ქუთაისელმა მამუკა ხეცურიანმა ქალაქი ლოძი 20 ოქტომბერს დატოვა და 21 ოქტომბერს პოლონეთი-უკრაინის საზღვარი გადაკვეთა, ამჟამად კი, სავარაუდოდ, საქართველოში იმყოფება.

ინტერპოლის მიერ მამუკა ხეცურიანზე ძებნის გამოცხადება „ნიუპოსტს“ შსს-შიც დაუდასტურეს, თუმცა უწყება დეტალებზე არ საუბრობს:

– საქართველოს მოქალაქე მამუკა ხეცურიანზე წითელი ცირკულარით ძებნა პოლონეთის ინტერპოლმა გამოაცხადა. აღნიშნულის შესახებ ზოგადი ინფორმაცია განთავსებული არის ინტერპოლის ვებგვერდზე, რაც ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის.

დამატებითი ინფორმაცია ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ არის დაცული და, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაციის ინიციატორი არის პოლონეთი, ქართული მხარე დამატებით დეტალებზე ვერ ისაუბრებს, – განაცხადეს უწყებაში.

## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

### მალამო მენტორი ხუთი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.**

**მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.**

☎ 599-73-48-21

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ტრამპი მედიის წინააღმდეგ



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ამერიკულ მედიას აკრიტიკებს.

მან განაცხადა, რომ ხშირ შემთხვევაში ამერიკული მედიასაშუალებები არასწორ, ტენდენციურ ინფორმაციას ავრცელებენ. შედეგად ქვეყანაში მტრობისა და სიძულვილის ატმოსფერო გაჩნდა. პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ მედია მის მიმართ სიძულვილს ხელოვნურად აღვივებს.

– ის, რაც ხდება, აბსოლუტურად მიუღებელია! – ამბობს ტრამპი.

ამასობაში აშშ-ს ლტოლვილთა ქარავანი უახლოვდება. პრეზიდენტმა ამასთან დაკავშირებით გასცა განკარგულება, რომ საზღვრის დაცვა გააძლიერონ.

საზღვრის მიმართულებით არმიის კონტინგენტი გადაისროლეს. სულ საზღვარზე 8.000 ამერიკელი ჯარისკაცი იქნება დისლოცირებული.

## ინდონეზიაში სამგზავრო ბოინგი ჩამოვარდა



ინდონეზიაში ბოინგ 737-ის ტიპის სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოვარდა. ავიაკომპანია ლაიონ ეირის თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც ჯაკარტადან ქალაქ პანკალპინანგში მიფრინავდა, 189 ადამიანი, მათ შორის ეკიპაჟის 7 წევრი იმყოფებოდა.

თვითმფრინავი რადარებიდან აფრენიდან 13 წუთის შემდეგ გაქრა.

ბოინგის 10 მგზავრის ცხედარი მაშველებმა აღმოაჩინეს. ამის შესახებ სამაშველო სააგენტოს ხელმძღვანელმა მოჰამად საიუგიმ განაცხადა.

– მყვინთავებმა წყლიდან 10 გარდაცვლილის ცხედარი ამოიყვანეს. გარდა ამისა, მგზავრების სხეულის ნაწილები აღმოვაჩინეთ. უახლოეს დღეებში პოლიცია დნმ-ის ნიმუშების შედარებას დაიწყებს, რომლებიც ჩვენ მგზავრების ნათესავებისგან ავიღეთ, – განაცხადა სამაშველო სააგენტოს ხელმძღვანელმა.

## უკრაინაში აშშ-ის სავაჭრო მისია ჩავიდა



უკრაინაში აშშ-ის სავაჭრო მისია ჩავიდა. დაგეგმილია შეხვედრები პრეზიდენტ პოროშენკოსთან, პრემიერ გროისმანთან, პარლამენტის სპიკერ პარუბიისთან.

საუბარი შეეხება უკრაინა-აშშ-ის პარტნიორობის გაღრმავებას, კერძოდ, თანამშრომლობას ენერგოსექტორში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში.

უკრაინის პირველმა ვიცეპრემიერმა კუბივმა გამოთქვა იმედი, რომ აშშ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს უკრაინაში დაგეგმილ დიდ პრივატიზაციაში, რომლის დროსაც სახელმწიფო საწარმოების პრივატიზება მოხდება.

## ვენეციის ისტორიული ცენტრის 75% დაიტბორა



ვენეციის ისტორიული ცენტრის 75% დაიტბორა. ვენეციის მუნიციპალიტეტის მოქცევის მონიტორინგის ცენტრმა მუნიციპალიტეტში მეტეოსაშიშროების მეორე, „ნარინჯისფერი" დონე გამოაცხადა.

29 ოქტომბერს ვენეციის ცენტრში წყლის დონემ 156 სანტიმეტრს მიაღწია. ქალაქის მერმა ლუიჯი ბრუნიარომ მსოფლიოში სახელგანთქმულ სან-მარკოს მოედანზე მცხოვრებლების ევაკუაცია გამოაცხადა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ წყლის დონე ვენეციაში დღეს დაიწევს.

იტალიაში წყალდიდობისა და ძლიერი ქარის შედეგად 9 ადამიანი დაიღუპა.

28 ოქტომბრიდან უამინდობამ იტალიის რამდენიმე პროვინცია მოიცვა. ქვეყნის ჩრდილოეთში, ლიგურიაში, ლომბარდიაში, ტრენტინო-ალტო-ადიჯეში, ვენეტოსა და ფრიული-ვენეცია-ჯულიას პროვინციებში მეტეოსაშიშროების უმაღლესი, „წითელი" დონე გამოცხადდა.

ძლიერი წვიმა და ქარია იტალიის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილშიც.

## სომხეთის პარლამენტში პრემიერად კვლავ პაშინიანი წარადგინეს



სომხეთის პარლამენტის ორმა ფრაქციამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტზე კვლავ მთავრობის მეთაურის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლ პაშინიანის კანდიდატურა წარადგინა.

ამის შესახებ „ტასს" ფრაქცია „გამოსავალის" ხელმძღვანელმა ლენა ნაზარიანმა განუცხადა.

– პაშინიანის კანდიდატურა წარვადგინეთ. მის წარდგენას მხარი ყოფილი მმართველი პარტიის რამდენიმე ყოფილმა წევრმაც დაუჭირა, – განაცხადა ნაზარიანმა.

პრემიერ-მინისტრის არჩევნები სომხეთის პარლამენტში 1 ნოემბერს გაიმართება. პაშინიანს არაერთხელ უთქვამს, რომ მისი კანდიდატურის წარდგენას ფორმალური დატვირთვა აქვს.

პაშინიანი მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ პარტიას, კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავონ ან მისი კანდიდატურის წინააღმდეგ მისცენ ხმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ზღვის მიერ გამორიყული ჩანთები სკატის კვერცხები აღმოჩნდა



ჰატერასის კონცხის ეროვნული სანაპიროს ხელისუფლების განმარტებით, უცნაური ჩანთები, რომლებიც ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის პლაჟებზე გამოჩნდა, ბუნებრივი წარმომავლობისაა.

უჩვეულო სწორკუთხოვანი ფორმის შავმა ობიექტებმა, რომლებიც ზღვის ტალღებმა ნაპირზე გამორიყა, ადგილობრივები საგონებელში ჩააგდო. მათ ეს ყოველივე ზღვის პლასტმასის ნარჩენებით დაბინძურების შედეგად აღიქვეს.

– არა, ეს პლასტიკატი არ არის. ეს არის სკატების კვერცხები, – განმარტა ჰატერასის კონცხის ეროვნული სანაპიროს ხელისუფლების წარმომადგენელმა.

როგორც გაირკვა, პლიაჟებზე აღმოაჩინეს ცარიელი კვერცხების კაფსულები, რომლებიც სკატებს ეკუთვნით. თითოეულ მათგანში ჩვეულებრივ ერთ დიდი კვერცხი დევს, ხოლო ე.წ. სახელურები ფსკერზე მის დასამაგრებლადაა განკუთვნილი.

– წყალში ისინი წყალმცენარეებზე ან სხვა უმოძრაო ობიექტზე არიან მიმაგრებულნი, – განმარტავს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, – როდესაც სკატი იჩეკება, ამ კაფსულებს ზღვის ტალღები ნაპირზე გამორიყავს.

## ორი ტკბილი ხურმა ხუთი ათას დოლარად გაიყიდა




იაპონიის აიტის პრეფექტურაში ორი ხურმა 540 ათას იენად (4,8 ათას დოლარზე მეტი) გაიყიდა.

საუბარია ტენკაფუბუს ჯიშის ხურმაზე, რომელიც პირველად გასაყიდად 2016 წელს გამოიტანეს. მის შექმნაზე 11 წელი დაიხარჯა. თუ ვინ შეიძინა ნაყოფი, უცნობია.

ნაყოფი ქალაქ ნაგოიას ცენტრალურ ბაზარში გაიყიდა. ადგილობრივებმა, რომლებიც ვაჭრობის თვითმხილველები გახდნენ, აღიარეს, რომ „მხოლოდ მის დანახვაზეც კი თავს მდიდარ ადამიანად გრძნობ".

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს იმავე ჯიშის ხურმა დაახლოებით იმავე ფასად გაიყიდა. მაშინ იაპონიის სოფლის მეურნეობის ასოციაციის გაყიდვების განყოფილების წარმომადგენელმა იტო ესიუკიმ განმარტა, რომ ამ ხილის ასეთ ღირებულებას მისი წარმოუდგენელი სიტკბო განსაზღვრავს.

– თუ ჩვეულებრივ ხურმაში შაქრის შემცველობა 15-16 პროცენტს შეადგენს, ამ ელიტურ ჯიშში მისი შემცველობა 18 პროცენტს აღემატება, – განაცხადა სპეციალისტმა.

## იღბლიანმა კანადელმა ერთ კვირაში მილიონი დოლარი და არჩევნები მოიგო




კანადელმა სტივ ჰილიერმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა და ქალაქის საბჭოში ადგილი მიიღო და ეს ყოველივე ერთ კვირაში მოხდა.

ონტარიოს პროვინციის ქალაქ ლონდონის მცხოვრებმა შეიტყო, რომ მილიონი კანადური დოლარი კვირა დღეს მოიგო, ხოლო ორი დღის შემდეგ ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელი გახდა.

მომგებიანი ბილეთი მას უფასოდ ერგო.

– ჩემი ადრინდელი ლატარიის ბილეთი შევამოწმე და აღმოჩნდა, რომ რამდენიმე უფასო ლატარიის ბილეთი მქონდა მოგებული, მეც გადავწყვიტე, ამით მესარგებლა, – განმარტა იღბლიანმა კანადელმა.

ჰილიერს მაშინვე არ გაუგია მოგების შესახებ, ვინაიდან მთლიანად წინასაარჩევნო კამპანიაში იყო ჩართული. მხოლოდ კვირა საღამოს შეამოწმა მან ბილეთები და მოგების შესახებ შეიტყო.

თავდაპირველად მას ეს შეცდომა ეგონა და განმეორებით შეამოწმა საკუთარი ტელეფონის დახმარებით. შემდეგ ლატარიის ბილეთების გაყიდვის საქალაქო ოფისში მივიდა, სადაც ის საბოლოოდ დაარწმუნეს, რომ ჯეკპოტი მოიგო.

– ეს მეტად საინტერესო ოთხი დღე იყო, თითქმის არ გვიძინია და ძალიან დავიღალეთ, – განაცხადა სტივ ჰილიერმა.

ჟურნალისტებთან საუბარში მან აღიარა, რომ მოგებული თანხის დიდ ნაწილს იპოთეკის დაფარვას მოახმარს, ხოლო დარჩენილ თანხას თავისი ორი შვილის განათლებას მოახმარებს.

## იშვიათი სახეობის „ყურებიანი" რვაფეხა ვიდეოზე დააფიქსირეს



ავტომატურმა წყალქვეშა აპარატმა, რომელიც აშშ-ის დასავლეთ სანაპიროსთან წყნარ ოკეანეში მუშაობდა, ვიდეოზე გადაიღო უიშვიათესი სახეობის ღრმაწყლის რვაფეხა.

თავფეხიანი მოლუსკი კვლევითი გემ „ნაუტილიუსიდან" შენიშნეს, რომელიც წყლის სიღრმეების ცნობილ მკვლევარ რობერტ ბალარდს ეკუთვნის და რომელმაც თავის დროზე „ტიტანიკისა" და ლინკორნ „ბისმარკის" ნამსხვრევებს მიაგნო. ამჟამად ხომალდი კალიფორნიის სანაპიროსთან ჩამქრალ წყალქვეშა ვულკანს იკვლევს.

მსხვილმა რვაფეხა-გრიმპოტევტისმა აპარატ „პრომეთეს" გვერდით ჩაუარა, რომელიც „ნაუტილიუსიდან" 3,2 კილომეტრის სიღრმეზე იყო ჩაშვებული. მოლუსკი გადაადგილდებოდა ფარფლების ქნევით, რომელიც ყურებს წააგავდა. სწორედ მათ გამო ამ სახეობის რვაფეხას ხშირად დამბოს სახელითაც მოიხსენიებენ – ეს არის პატარა მფრინავი სპილო უოლტ დისნეის მულტფილმიდან.

ვიდეოზე დაფიქსირებული რვაფეხას სიგრძე 60 სანტიმეტრს შეადგენდა, რაც სამჯერ აღემატება ამ სახეობის წარმომადგენელთა უმრავლესობის ზომებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# რეალში სკანდალურად მისული ლოპეტეგი უსახელოდ წავიდა

თავის დროზე ხულენ ლოპეტეგიმ მადრიდის რეალში დანიშვნა თავის ცხოვრებაში საუკეთესო დღედ მონათლა, ახლა კი სამსახური დაკარგა. ამასთან, მადრიდულ კლუბში სკანდალით მისული, სულაც უსახელოდ წავიდა.

მეტიც, ლოპეტეგი ფლორენტინო პერესის ეპოქაში სტატისტიკურად ყველაზე ცუდი მწვრთნელი გახდა.

ვნახოთ სტატისტიკა:

ბოლო თვის განმავლობაში რეალმა 7 მატჩიდან 5-ში წააგო, ბურთების შეფარდება 4:13;

ლა ლიგის ბოლო 5 ტურში რეალს 1 ქულა აქვს აღებული. ასეთი კრახი მადრიდელებს 2009 წლიდან არ ჰქონიათ, როცა ხუანდე რამოსის დროს ბოლო 5 ტური წააგო;

10 ტურის შემდეგ რეალი მე-9 ადგილზეა. ასეთი კოშმარი რეალს 2001-02 წლების შემდეგ არ ჰქონია;

8 საათი და 1 წუთი გოლის გარეშე – რეალის ყველაზე მშრალი სერია ისტორიაში სწორედ ლოპეტეგის ხელმძღვანელობით დაფიქსირდა;

რეალის ისტორიაში მხოლოდ ერთი მწვრთნელი გაათავისუფლეს უფრო სწრაფად, ვიდრე ლოპეტეგი: 2004 წელს ანტონიო კამაჩომ გუნდს მხოლოდ 6 შეხვედრაში უხელმძღვანელა;

საერთო სტატისტიკაც ცუდია – მოგებათა პროცენტული წილი 42.86 (14-დან 6 მოგება);

რა მოუტანა ლოპეტეგის რეალში გადასვლამ? არაფერი. ის რეალში ცუდი სახელით მივიდა, უფრო ცუდი სახელით წავიდა.



52 წლის სპეციალისტმა კლუბთან კონტრაქტი ივნისში გააფორმა. მანამდე ის ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. ლოპეტეგიმ ნაკრები სკანდალით დატოვა: ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ლუს რუბიალესმა ლოპეტეგი მუნდიალის დაწყებამდე გაათავისუფლა, რადგან ლოპეტეგი მალულად რეალთან აწარმოებდა მოლაპარაკებას.

5 თვეში კი რეალის დირექტორთა საბჭო შეიკრიბა. მათი გადაწყვეტილებით, კლუბმა გააუქმა ხელშეკრულება ლოპეტეგის, რომლის ხელშიც რეალი 10 ტურის შემდეგ მხოლოდ მე-9 ადგილზეა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაზე რუსულ ცსკა-სთან დამარცხდა. დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებას იმით განმარტავს, რომ სანამ ყველა მიზნის მიღწევა ჯერ კიდევ შესაძლებელია, კლუბმა უნდა შეცვალოს დინამიკა, რადგან ლოპეტეგისთან ერთად რეალს არაფერი გამოუვიდა. დირექტორებმა დაადგინეს, რომ ლოპეტეგის რეალი შორს არის იმ გუნდთან, რომელმაც ოქროს ბურთის 8 ნომინანტი აჩუქა ფეხბურთს.

კლუბმა მადლობა გადაუხადა ლოპეტეგისა და მის შტაბს მუშაობისთვის და დაემშვიდობა მას. ლოპეტეგის დროებით სანტიაგო სოლარი შეცვლის, რომელმაც მუშაობა გუშინდელი დღიდან დაიწყო.

42 წლის სანტიაგო ერნან სოლარი არგენტინელია და რეალ კასტილიას წვრთნიდა.

შეგახსენებთ, მადრიდული კლუბის მესვეურებს გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ანტონიო კონტეს ხილვა სურთ, მაგრამ, დიდია ალბათობა, ასე არ მოხდეს.

საქმე ის არის, რომ კონტე რეალს კონტრაქტის ფინანსურ მხარე და ვადაზე ვერ უთანხმდება. რის გამოც, არ არის გამორიცხული, რომ მოლაპარაკება ჩაიშალოს. კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი იტალიელ სპეციალისტს ხელშეკრულების მხოლოდ სეზონის ბოლომდე გაფორმებას სთავაზობს.

მოკლედ, გუშინ გვიან ღამით დირექტორთა საბჭოს მორიგი სხდომა უნდა გამართულიყო, სადაც კიდევ რამდენიმე დეტალზე ისაუბრებდნენ.

# ოთხი ქართველი მორაგბე ყურადღების ცენტრში მოექცა

ნოემბერი ქართული რაგბისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნება, შესაძლოა – გადამწყვეტიც. საქართველოს ნაკრები 3 ტესტს გამართავს – იტალიის, სამოასა და ტონგას წინააღმდეგ. აქედან მატჩი იტალიელებთან იქნება უდიდესი მნიშვნელობის. სწორედ ამ მატჩმა უნდა გადაწყვიტოს, იმსახურებს თუ არა საქართველოს ნაკრები 6 ერზე თამაშს.



ერთ-ერთ სარაგბო პორტალი „რაგბიპასი“ ჩვენს ნაკრებს ძალიან ხშირად აკვირდება და რამდენიმე სტატიაც მიუძღვნა, ამჯერად კი არა ნაკრებზე, არამედ იმ 4 მორაგბეზე საუბრობს, რომლებმაც ნოემბრის ტესტებზე უნდა წარმოაჩინონ თავი.

სარაგბო პორტალი აქცენტს აკეთებს არა ცნობილ ქართველებზე, არამედ იმ 4 დებიუტანტზე, რომლებიც ნაკრების 34-კაციან განაცხადში მოხვდნენ. არადა, ჯერ გადაწყვეტილიც არ არის, ისინი საბოლოო განაცხადში იქნებიან თუ არა.

**ვნახოთ, რა წერია სტატიაში:**

– საქართველოს ნაკრებმა 34-კაციანი განაცხადი გამოაქვეყნა, რომელთაგანაც უნდა შეირჩეს ის მორაგბეები, რომლებიც მომავალ წელს მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრებიან. გუნდი საფრანგეთშია დაბანაკებული, საიდანაც ფლორენციაში გაემგზავრებიან და 10 ნოემბერს იტალიის ნაკრებს არტემიო ფრანკის სახელობის სტადიონზე დაუპირისპირდებიან – ესაა მატჩი, რომელიც შეგვიძლია 6 ერის ფლეი ოფად განვიხილოთ.

საინტერესო იქნება რამდენიმე მორაგბეზე დაკვირვება. პირველ რიგში ეს ახალგაზრდებს ეხებათ, რომელთა დებიუტიც, შესაძლოა, ამ ტესტებში შედგეს.

### გურამ გოგიჩაშვილი

ის იმ თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელიც საქართველოდან სათამაშოდ საზღვარგარეთ წავიდა. 116-კილოგრამიანმა გოგიჩაიშვილმა სახელი 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე გაითქვა. ის რასინგ 92-ის წევრია და ტოპ 14-ში დებიუტი აჟენის წინააღმდეგ 8 სექტემბერს ჰქონდა, ზუსტად 4 დღის შემდეგ მისი მე-20 დაბადების დღიდან. ამის გარდა, რასინგის შემადგენლობაში ჩემპიონთა თასის ყველა შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში დაიწყო.

### თედო აბჟანდაძე

მფრინავი, რომელმაც გარკვეული პერიოდი „ტერენურის“ 20-წლამდელთა გუნდში გაატარა, აბჟანდაძე იყო იმ ნაკრების წევრი, რომელმაც ირლანდიელ თანატოლებს 20-წლამდე მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოუგო. მან მილტონ ჰეიგის ყურადღებაც დაიმსახურა.

ამის შემდეგ მან საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, მილტონ ჰეიგის ყურადღებაც მიიპყრო.

**მილტონ ჰეიგი:**

– აბჟანდაძე იმაზე გამოცდილივით თამაშობს, ვიდრე სინამდვილეშია. ის სწორ გადაწყვეტილებებს იღებს, აკონტროლებს ხალხს, ვინც მის წინ არის, რაც ძალიან დიდი პლუსია ასეთი ასაკის მოთამაშისთვის და ხაზშიც კარგად უტევს.

თედო ქუთაისის აიას რიგებში ირიცხება და ამ 19 წლის ბიჭს დიდი პოტენციალი აქვს.

### ბექა გიგაშვილი

კიდევ ერთი მორაგბე, რომელმაც კონტრაქტი ფრანგულ კლუბთან დადო და გრენობლში თამაშობს. გიგაშვილი კლუბს 2017 წელს 2-წლიანი კონტრაქტით შეუერთდა, რომელიც შემდეგ 2021 წლამდე გახანგრძლივდა. 26 წლის სპორტსმენს წინა სეზონი ტრავმის გამო გაუცდა. ამ სეზონში კი მხოლოდ ერთხელ ითამაშა ტოპ 14-ში.

### გრიგოლ ქერდიყოშვილი

შეუძლია 8 ნომრად თამაში. თამაშობდა აშშ-ში, კლუბ გლენდელ მერლინსში, რომელსაც რეგულარულ სეზონში მაღალი პოზიციის დაკავებაში დაეხმარა. ზაფხულში თბილისში დაბრუნდა და ლელო-სარასენსში დაიწყო თამაში, საიდანაც მილტონ ჰეიგმა პირველად გამოიძახა.

ეს 3 მატჩი, სავარაუდოდ, 4 პოტენციური დებიუტანტისთვის ბოლო შანსი იქნება მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად. საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე მომავალ წელს იაპონიაში მიემგზავრება, მანამდე კი სწორედ ამ მატჩებში შეარჩევს საბოლოო შემადგენლობას საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი.

# ძიუდოისტებმა აბუ დაბი მოიგეს

აბუ-დაბის გრანდ სლემის ბოლო საშეჯიბრებო დღეს ქართველი ძიუდოისტები უმედლოდ დარჩნენ. სანუგეშოდ მხოლოდ ის დაგვრჩა, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ ამირან პაპინაშვილი (60კგ), ვაჟა მარგველაშვილი (66) და ლაშა შავდათუაშვილი (73). ამგვარად, საქართველომ აბუ-დაბის გრანპრი 3 ოქროს მედლით დაასრულა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. საქართველოს შემდეგ 2 ოქროთი, ერთი ვერცხლით და ერთი ბრინჯაოთი, მეორე ადგილზე რუსეთის ძიუდოისტთა ნაკრები გავიდა.



დავუბრუნდეთ ბოლო დღეს: ყველაზე ახლოს მედალთან უშანგი მარგიანი (90) იყო, რომელიც პირველ წრეში ისვენებდა, მეორე წრეში კი, თურქმენეთის წარმომადგენელ ტეჟენ ტეჟენოვის სძლია, შემდეგ ჰოლანდიელ ჯესპერ სმინკს იპონით მოუგო, ხოლო მესამე შეხვედრაში აზერბაიჯანელ მამადალი მეჰდიევს შეხვდა და იპონით დამარცხდა. მარგიანი რეპეშაჟში გადაერთო, სადაც სერბ ალექსანდრ კუკოლთან დამარცხა და უმედლოდ დარჩა.

ამავე წონაში ავთანდილ ჭრიკიშვილმა პირველ წრეში საუდის არაბეთის წარმომადგენელ სალეჰ ალზუუაიდს მოუგო, ხოლო მეორე შეხვედრაში კისტიან ტოტთან სამი გაფრთხილება მიიღო და დამარცხდა.

ლაშა ტაველურმა (100) პირველ შეხვედრაში ჩინელ ბო ჟანგს სძლია, თუმცა მეორე წრეში ლატვიელ ევგენის ბოროდავკოსთან დამარცხდა და მედლისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

მძიმე წონაშიც ორივე ქართველი ძიუდოისტი ვადამდე გამოეთიშა მედლებისთვის ბრძოლას. ადამ ოქრუაშვილი პირველ წრეში ისვენებდა, ხოლო მეორე წრეში ბელორუს ვლადისლავ ციაპიტსკისთან წააგო. ლევან მატიაშვილმაც პირველი შეხვედრა მეორე წრეში ყირგიზეთის წარმომადგენელ იური კრაკოვესკისთან გამართა და იპონით დამარცხდა.

# კლეი ტომპსონის რეკორდი და უკმაყოფილო მამა

არანორმალურად ძლიერი გუნდია ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გოლდენ სტეიტი. შეიძლება ითქვას, რომ ეპოქალურიც. გოლდენ სტეიტმა, რომელიც საჩემპიონო თასებსა და ბეჭდებს ერთმანეთის მიყოლებით აგროვებს, გუნდური რეკორდების მსხვრევას უკვე მიგვაჩვია, თუმცა, ამჯერად ინდივიდუალურ შედეგებზე გადაერთო.

მოგება/წაგებათა ბალანსის, შემობრუნებული სერიებისა და სხვა გუნდური რეკორდების პარალელურად, ოქროს შტატელთა კალათბურთელები ინდივიდუალურად საუკეთესო მაჩვენებლებს არა მხოლოდ სხვა კლუბის მოთამაშეებს, არამედ უკვე თანაგუნდელებსაც კი ეცილებიან.

ამჟამად კლეი ტომპოსნის ჯერი დადგა, ადამიანის, რომელმაც 3 წლის წინ, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის გათამაშების ყველა ვარსკვლავის მატჩში, 3-ქულიანი სროლების კონკურსი მოიგო.

ტომპსონი რომ შესანიშნავი მსროლელია, ეს ბევრმა იცის, ახლა კი გოლდენ სტეიტის ვარსკვლავმა ნბა-ს რეკორდი დაამყარა. შეხვედრაში, რომელიც უორიორსმა ჩიკაგო ბულსს 149:124 მოუგო, კლეიმ 14 სამქულიანი ჩააგდო! აქამდე რეკორდი მის თანაგუნდელ სტეფ კარის ეკუთვნოდა, რომელმაც 2016 წლის 7 ნოემბერს 13 სამქულიანი ჩაუკალათა მეტოქეს.



ტომპსონმა რეკორდის მომტანი 3-იანი ჯერ კიდევ მე-3 პერიოდში, თანაც, მეოთხედის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ისროლა. საერთო ჯამში კლეიმ 27 წუთში 52 ქულა დააგროვა, ჯამში 24 სამიანი ისროლა, მეოთხე პერიოდში კი აღარ უთამაშია.

კარის კარიერის განმავლობაში ერთ მატჩში 9 სამქულიანი შვიდჯერ, 10 – ოთხჯერ, 11 -ოთხჯერ, 12 და 13 კი თითო-თითოჯერ აქვს ჩაგდებული. რაც შეეხება კლეი ტომპსონს, მისი საუკეთესო მაჩვენებელი აქამდე 11 ზუსტი სამქულიანი იყო, რომელიც მან 2015 წელს საკრამენტო კინგსის ფარში ჩააგდო.

თავად კარი, რომლის რეკორდსაც დამხობა ეწერა, თავად ეხმარებოდა ტომპსონს ახალი მიღწევის დამყარებაში და პასებით ამარაგებდა. ერთადერთი, ვინც ამ რეკორდით უკმაყოფილო დარჩა, მაიკლ ტომპსონია, კალათბურთელის მამა.

– 24-დან 14 სამქულიანი? ნუთუ ეს კარგია? მე ვფიქრობდი, რომ ისეთი კარგი კალათბურთელი, როგორიც კლეია, მინიმუმ 18 სამქულიანს უნდა აგდებდეს, როცა 24 ცდა აქვს.

გოლდენ სტეიტს მიმდინარე გათამაშებაში 8-დან 7 მოგება აქვს და დასავლეთ კონფერენციის სატურნირო ცხრილში, ტრადიციულად, ლიდერის პოზიციაზე იმყოფება. შემდეგ შეხვედრას სტივ კერის გაწვრთნილი გუნდი ნიუ ორლეანს პელიკანსთან გამართავს და, ვინ იცის, იქნებ მორიგი რეკორდის მომსწრეც გავხდეთ.

# შედეგები

## 29 ოქტომბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-სიტი ........................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 10 | 8 | 2 | 0 | 27-3 | 26 |
| 2.ლივერპული | 10 | 8 | 2 | 0 | 20-4 | 26 |
| 3.ჩელსი | 10 | 7 | 3 | 0 | 24-7 | 24 |
| 4.არსენალი | 10 | 7 | 1 | 2 | 24-13 | 22 |
| 5.ტოტენჰემი | 10 | 7 | 0 | 3 | 16-8 | 21 |
| 6.ბორნმუთი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-12 | 20 |
| 7.უოტფორდი | 10 | 6 | 1 | 3 | 16-12 | 19 |
| 8.მანჩესტერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-17 | 17 |
| 9.ევერტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-14 | 15 |
| 10.ვულვზი | 10 | 4 | 3 | 3 | 9-9 | 15 |
| 11.ბრაიტონი | 10 | 4 | 2 | 4 | 11-13 | 14 |
| 12.ლესტერი | 10 | 4 | 1 | 5 | 16-16 | 13 |
| 13.ვესტ ჰემი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-15 | 8 |
| 14.კრ.პალასი | 10 | 2 | 2 | 6 | 7-13 | 8 |
| 15.ბარნლი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-21 | 8 |
| 16.საუთჰემპტონი | 10 | 1 | 4 | 5 | 6-14 | 7 |
| 17.კარდიფი | 10 | 1 | 2 | 7 | 9-23 | 5 |
| 18.ფულემი | 10 | 1 | 2 | 7 | 11-28 | 5 |
| 19.ნიუკასლი | 10 | 0 | 3 | 7 | 6-14 | 3 |
| 20.ჰადერსფილდი | 10 | 0 | 3 | 7 | 4-21 | 3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მალაგა-ნუმანსია ........................... 2:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-რეგენსბურგი .................... 3:3

**იტალია. სერია ა**

ლაციო-ინტერი ............................. 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 10 | 9 | 1 | 0 | 21:7 | 28 |
| 2.ინტერი | 10 | 7 | 1 | 2 | 16:6 | 22 |
| 3.ნაპოლი | 10 | 7 | 1 | 2 | 19:11 | 22 |
| 4.ლაციო | 10 | 6 | 0 | 4 | 13:12 | 18 |
| 5.ფიორენტინა | 10 | 4 | 3 | 3 | 16:8 | 15 |
| 6.სამპდორია | 10 | 4 | 3 | 3 | 14:7 | 15 |
| 7.მილანი | 9 | 4 | 3 | 2 | 18:13 | 15 |
| 8.რომა | 10 | 4 | 3 | 3 | 17:13 | 15 |
| 9.სასუოლო | 10 | 4 | 3 | 3 | 17:16 | 15 |
| 10.ტორინო | 10 | 3 | 5 | 2 | 12:12 | 14 |
| 11.ჯენოა | 9 | 4 | 2 | 3 | 15:17 | 14 |
| 12.კალიარი | 10 | 3 | 4 | 3 | 9:11 | 13 |
| 13.პარმა | 10 | 4 | 1 | 5 | 10:14 | 13 |
| 14.ატალანტა | 10 | 3 | 3 | 4 | 17:12 | 12 |
| 15.სპალი | 10 | 4 | 0 | 6 | 8:13 | 12 |
| 16.უდინეზე | 10 | 2 | 3 | 5 | 10:15 | 9 |
| 17.ბოლონია | 10 | 2 | 3 | 5 | 8:14 | 9 |
| 18.ემპოლი | 10 | 1 | 3 | 6 | 9:15 | 6 |
| 19.ფროზინონე | 10 | 1 | 2 | 7 | 9:24 | 5 |
| 20.კიევო | 10 | 0 | 2 | 8 | 8:26 | -1 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

კლერმონი-ბრესტი ......................... 2:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრილია-ზენიტი ............................ 0:1

რუბინი-სპარტაკი .......................... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ქსანთი-იანინა ............................... 2:1

ოლიმპიაკოსი-აპოლონი ................ 1:0

პაოკი-პანათინაიკოსი .................. 2:0

აკხისარი-გიოზთეფე ...................... 1:0

ბეშიქთაში-რიზე ........................... 4:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

სლავია-დუკლა .............................. 4:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვისლა-სოსნოვეცი ......................... 2:2

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ბრონდბიუ ............ 3:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-მალმიო ................................. 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

სტარტი-მიოლდე ........................... 1:3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# კრიშტიანუ რონალდუ: „კიდევ ერთი ოქროს ბურთი მინდა“



კრიშტიანუ რონალდუ წელსაც წარდგენილია „ოქროს ბურთის“ ნომინაციაზე და, თუ მოიგო, ერთპიროვნულ რეკორდს დაამყარებს, რადგან ეს იქნება მისი მე-6 ჯილდო. იგივეს შანსი ბარსელონის არგენტინელ შემტევ ლეო მესისაც აქვს, თუმცა – უფრო მცირე.

რონალდუს „ოქროს ბურთის“ დამფუძნებელი გაზეთის, „ფრანს ფუტბოლის“ ჟურნალისტი ესაუბრა, სადაც პორტუგალიელი მკაფიოდ გამოხატავს თავის აზრებს.

კრიშტიანუ რონალდუ:

– უკვე კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ვარ. მართალია, 6 „ოქროს ბურთის“ მოპოვებით შეპყრობილი არ ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ჯილდო მოედანზე ყოფნით დავიმსახურე. ვერ ვხედავ ერთ მიზეზსაც კი, თუ რატომ უნდა დავმალო ჩემი მოსაზრება და სურვილი. სწორედ ამისთვის ვმუშაობ – გოლებისთვის, წარმატებისთვის და გამარჯვებისთვის! შედეგად, ვფიქრობ რომ ვიმსახურებ ოქროს ბურთს!

რონალდუმ მადრიდის რეალის დატოვებასა და ტურინის იუვენტუსში გადასვლაზეც ისაუბრა.

– იუვენტუსში ტრანსფერი იყო სწორი და წარმატებული სვლა. რეალში დიდებული პერიოდი გავატარე, ფანტასტიურ თანაკლუბელებთან ერთად და ამას არასოდეს დავივიწყებ. თუმცა, 9 წლიანი ისტორიის შემდეგ გადავწყვიტე, რომ დროა მოძრაობა გავაგრძელო. პერესთან ჩემი ურთიერთობა სამსახურებრივ ჩარჩოებს არ გასცდენია. სიტყვები, რომლებსაც ის მე მეუბნებოდა, გულიდან წამოსული არ ყოფილა.

კრიშტიანუმ მის ირგვლივ ატეხილ სკანდალზეც გააკეთა კომენტარი, რომელშიც პორტუგალიელს გაუპატიურებას სდებენ ბრალად.

– ჩემს მეგობარ გოგონას უკვე ავუხსენი სიტუაცია, რომელიც გამოძიებასთან დაკავშირებით სუფევს. კრიშტიანუ უმცროსი კი ჯერ კიდევ ძალიან პატარაა, რომ ეს თემა კარგად გაიგოს. ვერც კი აღგიწერთ, როგორი საშინელი ემოცია განვიცადე დედაჩემის და ჩემი დის მიმართ. ისინი გაკვირვებულები და, ამავე დროს, გაბრაზებულები იყვნენ. სიმართლეს გეტყვით და ასეთ მდგომარეობაში ისინი პირველად ვიხილე.

# მანჩესტერში მოურინიოს ენდობიან, ვუდვორდს წყალი შეუდგა



მანჩესტერ იუნაიტედი პორტუგალიელი სპეციალისტის ჟოზე მოურინიოს გაშვებას არ გეგმავს და სრულ მხარდაჭერასაც უცხადებს. სეზონის საშინელი სტარტისა და საშინელი მატჩების შემდეგ ჟოზეს მიმართ კრიტიკამ ნორმაზე მეტად იმატა, თუმცა, როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობას ეს არ ადარდებს.

გარდიანის ცნობით, კლუბის მაღალი ეშელონების შემადგენლობა, მოურინიოს ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაზე მხარს დაუჭერს და სატრანსფეროდ 100 მილიონ ევროსაც გამოუყოფს.

თავის მხრივ, რა თქმა უნდა, ტრანსფერების განხორციელება მოურინიოს დიდი ხანია სურს. გავიხსენოთ ზაფხულის სატრანსფერო ბაზარი, სადაც, მარტივად შეიძლება ითქვას, რომ იუნაიტედმა იპასიურა, მოურინიო კი რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას ითხოვდა.

ამ ეტაპზე ჟოზეს ახალი ცენტრალური მცველისა და ცენტრალური თავდამსხმელის მოყვანა სურს. წინ ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაა, იუნაიტედი კი ოთხეულისთვის ბრძოლას აუცილებლად გეგმავს.

პორტუგალიელ სპეციალისტს მანჩესტერ იუნაიტედის დაცვის ხაზის გაძლიერება გასულ ზაფხულსაც სურდა, მაგრამ კლუბმა მწვრთნელის სიიდან, რომელშიც ჰარი მაგუაირის (ლესტერი), ჟერომ ბოატენგისა (ბაიერნი) და რაფაელ ვარანის (რეალი) გვარები იყო ჩამოწერილი, ვერც ერთი ფეხბურთელის შეძენა ვერ მოახერხა.

თუ იუნაიტედის მფლობელები მხარდაჭერას უცხადებენ მოურინიოს, ეჭვის თვალით გადახედეს ტექნიკური დირექტორ ედ ვუდვორდს.

გავრცელდა ჭორები, რომ ვუდვორდი მანჩესტერს დატოვებს. მისი მუშაობით, ბოლო პერიოდში, არც გულშემატკივრები არიან კმაყოფილი და ეს მუხტი ადმინისტრაციასაც გადაედო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვუდვორდის ჩანაცვლებას პოლ მიტჩელით აპირებენ, რომელიც ამჟამად გერმანული ლაიპციგის ტექნიკური დირექტორია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბიძინა გუჯაბიძე: „ნაციონალები ხელისუფლებაში ვეღარ დაბრუნდებიან“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ასე რომ, განაწყენებული ადამიანიც კი ხმას ჩვენ გვაძლევს. ჩემი რაიონის მაგალითზე ვამბობ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი გაათავისუფლეს და აღარ მუშაობს, ხმას მაინც ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს აძლევს.

***– მოსახლეობაში ნაცმოძრაობის დიდი მიუღებლობა კი არის, მაგრამ ზოგჯერ ადამიანები არსებული ვითარებიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს და არა წარსული რეალიებიდან. თქვენ თქვით, რომ იმ 50%-დან, რომელიც საარჩევნო ყუთთან არ მივიდა, ძალიან დიდი პროცენტია, რომელსაც ცხოვრებისა და არსებობის სახსრები არ აქვს, გაჭირვებულია. იმედი გაქვთ, რომ „ოცნება“ ამ საკითხს მიხედავს?***

– ტელევიზიით გამოსვლა და ტირილი ნაციონალების პროპაგანდის შედეგია. სხვა ტელევიზიებში იშვიათად გვხვდება, „რუსთავი-2“ მიდის და სპეციალურად არჩევს ადამიანებს, ეუბნებიან, თუ არ იტირე და იხმაურე, ყურადღებას არავინ მოგაქცევსო. ხელისუფლებას სოციალური მიმართულების პროგრამები აქვს. ეს არის უფასო სასადილოები. არის გამგეობის სხვა შეთავაზებებიც. სადაც ასეთი ფაქტები რეალურია, იქ გამგეობა და თვითმმართველობა კარგად ვერ მუშაობს. ეს ზოგადად ხელისუფლების ბრალი არ არის.

***– „რუსთავი-2“-ის ხშირი ხსენება არაფრისმომცემია.***

– ამ ტელევიზიას აწყობს, რომ სიტუაცია გაამუქოს.

***– საპრეზიდენტო არჩევნებში „ოცნებისთვის“ არასასურველი შედეგი მარიხუანის კულტივაციის იდეის გამო ხომ არ იყო?***

– არა. ასეთი უნდობლობა ხელისუფლების მიმართ არ არის. ჩვეულებრივმა ადამიანმა, რომელიც შრომობს და ისე არჩენს ოჯახს, ჯერ ერთი არც იცის, რა არის და მეორეც არ აღელვებს. მას თავისი მდგომარეობა აღელვებს. მარიხუანის თემა პოპულარული არ არის, მაგრამ ახლა პარლამენტში განიხილება ნარკომანიის შესახებ კანონმდებლობის გამკაცრების კანონპროექტი.

პრეზიდენტის პოსტი არ არის ასეთი საკითხების მოგვარებისთვის. ვერც ერთი პრეზიდენტი ვერ შეცვლის მარიხუანის შესახებ პოლიტიკას. მარიხუანის საკითხები არ არის პრეზიდენტის გადასაწყვეტი. ქალბატონი სალომე, პირიქით, ამ კუთხით პოლიტიკის გამკაცრებას ითხოვს. კანაფის კულტივაციის შესახებ კანონი არ მიღებულა, არც განხილულა. საზოგადოებაში არასწორი ინფორმაციაა გავრცელებული. ხელისუფლებამ განაცხადა, ვალდებული ვართ, მოსახლეობას, სპეციალისტებს მოვუსმინოთო.

***– სამაგიეროდ, ვაშაძემ ეს საკითხი თავის სარეკლამოდ შესანიშნავად გამოიყენა, არ მინდა, ვაზის ქვეყანა მარიხუანის ქვეყნად გადაიქცესო.***

– ვაშაძემ ტყუილად გამოიყენა. ნორმალური საზოგადოება მარიხუანის მოხმარებასა და ლეგალიზაციას რომ არ უჭერს მხარს, ცხადია. ლეგალიზაცია რომ არ ხდება, ისიც ცხადია. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც არ იძლევა ლეგალიზაციის საშუალებას. სასამართლოს გადაწყვეტილება არის დეკრიმინალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი.

***– თუ ვერ შეძელით თქვენი მომხრეების მობილიზება?***

– ჩვენი მომხრეების მობილიზება რომ ვერ შევძელით, ეს არის ჩვენი მუშაობის მინუსი, რადგან სრული მობილიზება არ გვქონდა გამოცხადებული. მეორე ტურისთვის ჩვენი მომხრეების სრულ მობილიზაციას გამოვაცხადებთ. ამომრჩევლის ნაწილმა ჩათვალა, თუ ის არ მივიდოდა არჩევნებზე, ამით არაფერი დაშავდებოდა. ასეთმა დაიმედებამ ის ადამიანები საარჩევნო ყუთთან არ მოიყვანა. ახლა სხვა ვითარებაა და შესაბამისი გადაწყვეტილებებიც მიიღება.

## კალეიდოსკოპი

# ანტიბიოტიკებმა გოგონას სხეულზე დამწვრობა გამოიწვია



ანტიბიოტიკებმა 29 წლის ფრანგ გოგონაში ალერგიული რეაქცია და სხეულის 90 პროცენტზე დამწვრობა გამოიწვია.

საფრანგეთის ქალაქ ავინიონის მცხოვრები კამილ ლაჟი პენიცილინს ნუშისებრი ჯირკვლის ანთების სამკურნალოდ იღებდა. ადრე ამ ანტიბიოტიკს მასში ალერგია არ გამოუწვევია, მაგრამ ამჯერად მას ზურგზე გამოაყარა, თვალებმა კი ფხანა დაუწყო.

ვინაიდან გოგონას მდგომარეობა უარესდებოდა, მშობლებმა ის საავადმყოფოში მიიყვანეს. ექიმებმა მას ლაიელის სინდრომი ან ტოქსიკური ეპიდერმული ნეკროლიზი დაუდგინეს. ჩვეულებრივ პაციენტებს ტემპერატურა ეწევათ, ჩნდება გამონაყარი, რის შემდეგაც კანზე ჩნდება დიდი ბუშტუკები, რომლებიც სწრაფადვე იხსნება ფართო ეროზიის წარმოქმნის შედეგად. ლეტალური შედეგიც შესაძლებელია.

ავინიონიდან ლაჟი მარსელის დამწვრობის რეანიმაციაში გადაიყვანეს. მან საავადმყოფოში სამი კვირა გაატარა.

– ლაიელის სინდრომის საწინააღმდეგო წამალი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ მორფი საშინელი ტკივილების გასაყუჩებლად, – განაცხადა გოგონამ, – ერთიანად ბინტებში ვიყავი შეხვეული, ვინაიდან კანის 90 პროცენტი მეორე ხარისხის დამწვრობით მქონდა დაფარული.

კანის გარდა, გოგონას დასნებოვნებული ჰქონდა ენაც და ტრაქეაც და რამდენიმე დღის განმავლობაში ის ლაპარაკს ვერ ახერხებდა.

ამჟამად ლაჟის საკუთარი ბლოგი მიჰყავს, რომელშიც ის საკუთარ მკურნალობაზე საუბრობს. მას იმედი აქვს, რომ ამით სხვა ადამიანის დახმარებასაც შეძლებს.

– მე ნორმალური კანი აღარასოდეს მექნება, სხეულზე კვლავაც უამრავი ნაიარევი მაქვს, მაგრამ ისინი ყოველდღე მახსენებენ იმას, რომ მაინც მოვახერხე გამარჯვება, – ამბობს ლაჟი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 31 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – ნეგატიური, დაძაბული დღეა. იფრთხილეთ ქუჩაში მოძრაობისას. ერიდეთ უტაქტო გამონათქვამებს. **კურო** – ოჯახური ურთიერთობები სტაბილურია. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისაგან თავი შეიკავეთ. **ტყუპები** – ამბიციურობა, აგრესიულობა პრობლემებს შეგიქმნით. მეორეხარისხოვან საქმეებზე ყურადღებას ნუ გაამახვილებთ. **კირჩხიბი** – შექმნილ რთულ ვითარებას ფილოსოფიურად შეხედეთ. მოთმინება და თავშეკავება გმართებთ კოლეგებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას. **ლომი** – ნუ ეცდებით, ვინმე თქვენს სიმართლეში დაარწმუნოთ. ალკოჰოლის მიღება რეკომენდებული არ არის. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი წარმატებულია პროფესიონალურ სფეროში საქმიანობისათვის, თუმცა ზედმეტი აქტიურობა მაინც არასასურველია. **სასწორი** – კატეგორიულობა, მომთხოვნელობა კონფლიქტის წყაროდ იქცევა. გამორიცხეთ ფიზიკური დატვირთვა და დაისვენეთ მშვიდ გარემოში. **მორიელი** – სასიხარულო ახალ ამბავს შეიტყობთ. კეთილისმყოფელი დღეა ქალაქიდან გასასვლელად. ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ სტაბილურია. **მშვილდოსანი** – შანსი გეძლევათ პირადი ცხოვრების მოსაწყობად, ახალი პროფესიის ასათვისებლად. მეგობრებთან მეტი დრო გაატარეთ. **თხის რქა** – შექმნილი პრობლემის მოსაგვარებლად დიდი დრო, ენერგია და მატერიალური რესურსი დაგჭირდებათ. მოსალოდნელია პატარა კონფლიქტი ინტიმურ სფეროში. **მერწყული** – შეგიძლიათ, მომავალი თამამად დაგეგმოთ. დღის მეორე ნახევარი კეთილისმყოფელია ქალაქგარეთ გასასვლელად. **თევზები** – ბავშვებთან ურთიერთობისას ლოიალური და დამთმობი უნდა იყოთ. ძველ წყენას ნუ გაიხსენებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ფისიანი ქვანახშირის ერთ-ერთი სახეობა; 2. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 3. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 6. ავსტრიელი კომპოზიტორი; 9. სამეცნიერო ქალაქი რუსეთში; 11. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 15. რაიმე გამქრალი მოვლენის ნაშთი, კვალი; 16. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში; 17. ქალაქის მცხოვრებთა სახელწოდება ძველად გერმანიაში; 19. უაზრობა, შეუსაბამობა, სისულელე; 21. შექსპირის ტრაგედია; 22. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად:** 5. მცირე ამპლიტუდის რხევები; 7. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 8. აეროპორტი პრაღაში; 10. განყოფილების სათაური გაზეთში, ჟურნალში; 12. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული ღვინო; 13. პოლიგრაფიაში გამოყენებული სურათის ან ნახატის პირი; 14. კიდული რკინიგზა; 18. ნიგერიის დედაქალაქი; 20. მე-16 საუკუნის იტალიელი მოქანდაკე, იუველირი; 23. მწვავე სისხლნაკლებობა; 24. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 25. ნავსადგური, კურორტი, ღვინის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი სამხრეთ ესპანეთში; 26. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 27. ყურის ექიმი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხულა; 2. ეპოსი; 3. ლხასა; 5. ბალეტი; 6. ნიკოლაძე; 9. პრეფერანსი; 10. წალენჯიხა; 11. მარასკინი; 14. კიი; 16. უოლესი; 18. ბიტი.

**თარაზულად:** 1. ხარება; 4. კაბოშონი; 7. მონიკა; 8. სტაპელი; 12. დელტა; 13. ოკენცე; 15. დევიზა; 17. პაი; 19. ღვინობისთვე; 20. სილვა; 21. მილანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სურამი; 2. დიეტა; 3. ფლირტი; 4. ჯილღაო; 6. ბაზიერი; 9. პეტრა; 11. ტაიფუნი; 15. სუბმარინა; 16. ფაველა; 17. კუნაპეტი; 19. ეშელონი; 21. კუბრიკი; 22. ალგეთი.

**თარაზულად:** 5. წუწურაქი; 7. ათანელი; 8. ილიადა; 10. ჰეკმანი; 12. აიეტი; 13. ჭვავი; 14. ჯვრისწერა; 18. სუფლე; 20. ხახული; 23. ალმასი; 24. ბახი; 25. გელაპი; 26. თუნი; 27. სკუტერი.

# ირმა ნიორაძეს მოღალატე უწოდეს

მას შემდეგ, რაც პრიმაბალერინა ირმა ნიორაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ მხარს სალომე ზურაბიშვილს უჭერდა, თანამემამულეებმა მოღალატე უწოდეს:

– უღრმესი მადლობა, ძვირფასო მეგობრებო, კომენტარებისთვის, სადაც მოღალატედ მომიხსენიებთ.

არ მეგონა, თუ ჩემს სამშობლოში სიტყვის თავისუფლება და ჩემი დამოუკიდებელი აზრი ასე გაგაღიზიანებდათ არჩევნებთან დაკავშირებით.

დიდხანს ვფიქრობდი, რა ფორმით გამეცა თქვენთვის პასუხი და ისიც კი ვიფიქრე, მარცხენა ლოყაც შემომეშვირა თქვენთვის, რადგანაც ასე ვარ გაზრდილი, თუმცა, ალბათ დადგა ის მომენტი ჩემს ცხოვრებაში, რომ ვარდისფერ ფერებში ყველა ერთმანეთში არ აგრიოთ.

ერთხელაც მომიწია პასუხის გაცემა რუსული მედიისთვის, როდესაც რუსეთიდან დეპორტირებული ჩემი ქართველები დავიცავი, ხოლო 2008 წლის ომის შემდეგ კი რუსეთიდან წავედი.

ჩემზე წერთ, რომ მოღალატე ვყოფილვარ, მოღალატე რომ ვიყო, მართლაც არ უნდა გამაჩნდეს დამოუკიდებელი აზრი და ალბათ თქვენთვის უნდა მეკითხა და თქვენთვის სასურველი საპრეზიდენტო კანდიდატისთვის უნდა მიმეცა ხმა.

2004 წელს მე გავაკეთე ჩემი არჩევანი ჩემს სულიერებაში, მაშინაც არავის უკარნახია, ასე არ მოიქცეო, არ გამიკეთებია წინასწარი გათვლებით ის არჩევანი, რომელიც არა პირადად ჩემი, არამედ ჩემი ქვეყნის გამთლიანებასა და ბედნიერებას ეკუთვნოდა.

მე მაშინ ჩემი ხმა ნაციონალურ მოძრაობას მივეცი და პრეზიდენტ ბატონი მიშა სააკაშვილის ინაუგურაციის კონცერტშიც მივიღე მონაწილეობა ჩვენს ცნობილ კოლეგებთან ერთად. მე ძალიან ბედნიერი ვიყავი მაშინ, რადგან გაბრწყინებული იმედის თვალებით ვუყურებდი ჩემი ქვეყნის მომავალს, თავისუფალი და მშვიდი გულით ვსუნთქავდი და სწორედ სულ მალე გადამეკეტა ეს თავისუფალი სუნთქვა.

სანკტ-პეტერბურგში ჩემს ბინაში სპექტაკლისთვის ვემზადებოდი, როდესაც თავზე ომონის სპეცრაზმი და მილიცია ერთად დამადგა, მე და ჩემი ოჯახის წევრები იატაკზე დაგვაწვინეს და ჩემს ტირილით გაოგნებულ კითხვაზე, თუ რატომ ჩადიოდნენ ამას, მათ ასე მიპასუხეს, ეს თქვენს პრეზიდენტ სააკაშვილს ჰკითხეთო. მაშინ ტანში სისხლი გამეყინა. არ მახსოვს, იმ დღეს როგორ და რა ვიცეკვე ან როგორ მოვიკრიბე ძალა, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც მიზეზი გავიგე, საერთოდ დავმუნჯდი. პრეზიდენტის განკარგულებით ჩემს სახლში ჩემი ქმრის ძმის ცოლის დედის ძმას ეძებდნენ, რომელიც ვერანაირად ვერ იქნებოდა ჩემი ნათესავი, შესაბამისად, დღემდე ვერ ვპოულობ პასუხს იმაზე, თუ რა შუაში ვიყავი მე.



შემდეგ მე და ჩემი მომღერალი და ჩარეცხილების შავ სიაში ჩაგვწერეს და, მადლობა უფალს, რომ არ დაგვაპატიმრეს, თუმცა ორივე დაგვბლოკეს, განსაკუთრებით გადაეკიდნენ ჩემი მეუღლის ბიზნესს და ღვინის ქარხანა დაუყადაღეს.

ჩვენ ვიცოდით, ვინ აწვეთებდა ყურში ბატონ პრეზიდენტს საშინელებებს ჩვენს ოჯახზე, მაგრამ მაშინ ხომ სიტყვის თავისუფლება არ არსებობდა.

მე და ჩემი მეუღლე ჩვენი შრომითა და წვალებით რასაც ვიძენდით რუსეთში, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს სამშობლოში ვაბანდებდით. ქარხანაში სამუშაო ადგილების შექმნა სწორედ ამ შრომის ფასად გვიჯდებოდა.

2008 წლის საშინელი ომის შემდეგ მე და ჩემი ოჯახი ჯერ ინგლისში, შემდეგ კი საფრანგეთში გადავედით. ვერ აღგიწერთ, როგორი რთულია, ხელცარიელი გაიქცე სახლიდან და საკუთარ სამშობლოში ჩამოსვლის უფლების გარეშე, საზღვარგარეთ გადაიხვეწო და ნულიდან დაიწყო ყველაფერი, თუმცა, იმასაც დავაყოლებდი, რომ ამისთვის არც ბატონი მიშას წინ დავმდგარვარ მუხლებზე და მითხოვია, არიქა, გმირის წოდება მიბოძეთ-თქო და არც ბატონ ივანიშვილთან გავქცეულვარ და მიწუწუნია, ნაციონალებმა დამჩაგრეს და ხელფასი დამინიშნეთ-თქო.

ყველა მთავრობას რომ მოერგო და გამოიყენო, განსაკუთრებული ნიჭით უნდა იყო დაჯილდოებული, რაც ვერასოდეს დაფუძნდება ჩემში.

ორი სიტყვით მინდა შევეხო იმ კომენტარებს, სადაც ქალბატონი ნინო ანანიაშვილის მიმართ შურში მდებენ ბრალს და ერთმანეთს უპირისპირებენ ჩვენს სახელებს. რატომ გგონიათ, რომ მე და ნინოს ერთმანეთის გვშურს? ის ჩემთვის იყო და დარჩება ბალეტის ხელოვნების მეგავარსკვლავად და მისი არც პირველი გედობა და, მით უმეტეს, არც პირველი ლედობა შემშურდებოდა და იცით, რატომ?

პირველი იმიტომ, რომ კარგად ვიცი, რის ფასად ჯდება ჩვენი პროფესია, მეორე კი, არც ჩემით და არც ნინოთი დაწყებულა ჩემი ქვეყნის ისტორია და, მადლობა უფალს, არც ჩვენით დამთავრდება ჩვენი საქართველო.

ზოგმა რიგით ნომერ მეორე ბალერინად მომიხსენია, ზოგმა ლანძღვა-გინება და თუკი რამ ბილწსიტყვაობა არსებობს, არ დაიშურა და ისეთი მრისხანებით გაილაშქრა ჩემზე, რომ თემურ-ლენგს, შაჰ-აბასსა და მურვან ყრუსაც კი შეშურდებოდა მათი სისასტიკის.

რაც შეეხება რიგით ნომერ მეორე, მესამე და მეოთხე ბალერინას სახელს დიდი ღირსებით ვატარებ, რადგან ვიცი, რა წვალებით დავიწყე ნომერი 4, 3, 2, ბალერინას შემოქმედებითი რთული გზის გავლა, რომ საქართველოს საზღვრებს გარეთ პირველი ბალერინას სახელი დამემსახურებინა.

ახლა რაც შეეხება ჩემს არჩევანს, მე არ გამიკეთებია არც იმაზე განცხადება, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე მინდა ვნახო ჩემი ქვეყანა.

მე სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი და ვიქნები მარიხუანის ლეგალიზაციის და, თუ ჩემს მიერ არჩეული საპრეზიდენტო კანდიდატი ნებისმიერი სახით ავნებს ჩემს სამშობლოს, მაშინ გამოვალ და ვაღიარებ, რომ მწარედ შევცდი, ისევე, როგორც შევცდი 2004 წელს.

თუმცა იმაში კი მყარად ვარ დარწმუნებული, რომ მოღალატე მე კი არა, არამედ იმ პოლიტიკით მოაზროვნე ადამიანები არიან, რომლებმაც 2008 წელს რუსეთს 60 კილომეტრში შავი ტანკები დააყენებინა ჩვენს თბილისთან.

და ბოლოს მინდა განვაცხადო, რომ ყველა ერი არ ჰგავს ერთმანეთს.

ზოგი სუფთა ევროპულ არჩევანს აკეთებს და ამით ხარობს და ამაყობს, ზოგი ჩილიმს ეწევა და საერთოდ არ დარდობს არჩევნებზე, ზოგ ერს კი საერთოდ არ აქვს ხმის ამოღების უფლება და, სანამ „ვოდკას“ სვამს, ფეხზე წამოდგომით იძულებით უკრავს ტაშს თავის დიქტატორ პრეზიდენტს.

და ეს არც მიკვირს, რადგან ეს მათი არჩევანია.

მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, რომ ჩემი ერის გარკვეულ ნაწილს ცოცხების ნოსტალგია ასე მწვავე ფორმით თუ დაუბრუნდებოდა განუკურნებელი სენის სახით.

დღემდე ვაკეთებდი და გავაკეთებ იმ სიკეთეს მშვიდად, რასაც ქველმოქმედება ჰქვია, რადგანაც სამშობლოს ვერავინ წამართმევს, ვინც არ უნდა მოვიდეს პრეზიდენტად. უფალმა შეგინდოთ და გაპატიოთ, რაც ჩემზე დაწერეთ.

მე მაინც მიყვარხართ და მეც მომიტევეთ.

## დიმა კობეშავიძე: „ამდენი პოლიტიკაში ჩართული მუსიკოსი ცხოვრებაში არ მინახავს“

მომღერალი მიშა კობეშავიძე კოლეგების მიერ პოლიტიკაში აქტიურად ჩართვით გაკვირვებულია:

– ხმა მიეცი და გაჩუმდი რააა! ამდენი პოლიტიკაში ჩართული მუსიკოსი მე ცხოვრებაში არ მინახავს! ყველას ადგილს შეჰპირდნენ ყველა მხრიდან თუ მე ვარ მარტო მთვარეზე?!

## ნინი ქარსელაძე: „სცენა არ გვქონდა აწყობილი“



მომღერალი ნინი ქარსელაძე სოციალური ქსელის საშუალებით უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერებს სცენა ჰქონდათ აწყობილი და კონცერტის ჩატარებას გეგმავდნენ.

**ნინი ქარსელაძე:**

– მთელი დღე ვიფიქრე, რა დამეწერა, მერე ფეისბუქი გავაუქმე, რათა ფეიკ ექაუნთებიდან შემოსული აგრესია ამესხლიტა. მაგრამ ვერ ვასიამოვნებ ვერავის, განსაკუთრებით იმ სექტას!

ჩვენზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერ მოახდენთ. ვისზეც მოახერხეთ, ისიც ღმერთმა შეგარგოთ. შემდეგ ტურში გაჩვენებთ, ვინ ხართ სინამდვილეში. ხოდა ახლა მოემზადეთ, მეორე ტურში გაჩვენებთ, რამდენი ვართ და თან რა მაგრები. მე ვსაუბრობ ჩემი ოჯახის, მომღერლებისა და კიდევ ბევრი ჩემი ახლობლის სახელით! არჩევნების მეორე ტურამდე ცოტა დღე გვაქვს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანამოქალაქეები კარგად გაიხსენებენ იმ 9 წელს!

ისე, სცენა არ გვქონდა აწყობილი, მაგრამ მეორე ტურის ბოლოს ავაწყობთ, მაგაზე არ დაგწყვეტთ გულს და თქვენც დაგპატიჟებთ. ისე, რა სასწაული ხალხი ხართ, მთელი დღე გაატარეთ ჩვენს ლანძღვაში, გგონიათ, ვინმესთვის რამეს ნიშნავს?

პ.ს. ახლა ჩემიანებს მივმართავ: ნუ მოდუნდებით. სიკეთე გაიმარჯვებს. ჩემი მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, „ქართულ ოცნებას“!

## რუსუდან გლურჯიძე: „რა მოიმოქმედეთ კულტურის სამინისტროში, გიკითხავთ?!“



რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებს და მიაჩნია, რომ რაც არჩევნებში მიიღეს, მათი მისაღები იყო:

– ჯერ კიდევ ვიკავებ თავს და არ ვწერ დეტალურად იმ შტერებზე და სულელებზე, ვინც მოამრავლეთ და მოათრიეთ მთავრობაში... და რამდენად შეუძლებელი გახადეთ ნებისმიერი პროცესი!

რა მოიმოქმედეთ კულტურის სამინისტროში, გიკითხავთ?!

მოკლედ, რაც მიიღეთ, თქვენი მისაღები იყო. კიდევ სალომემ გადაგარჩინათ და გიშველათ, თორემ საერთოდ 0%-ს აიღებდით „ქართული ოცნება“.

## მარიკა თხელიძემ „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დატოვა

მომღერალმა მარიკა თხელიძემ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. მიზეზებზე მომღერალმა სოციალურ ქსელში გავრცელებული განცხადებით ისაუბრა:

– საზოგადოების, გულშემატკივრების, თაყვანისმცემლების, მსმენელისა და მაყურებლებისგან მიღებული მხარდაჭერის გამო, ვფიქრობ, ვალდებული ვარ, მოგიყვეთ იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც უკავშირდება ტელეპროექტს „ცეკვავენ ვარსკვლავები“.

მიწვევისთანავე შემოთავაზებას აზარტითა და დიდი მონდომებით დავთანხმდი. თანხმობა, რომელსაც სიამოვნება და მეტი მოტივაცია უნდა მოჰყოლოდა, დიდ გაუგებრობაში გადაიზარდა. მოუგვარებელი დეტალები, რომლებიც პროდიუსერებსა და ხელმძღვანელ სუბიექტებს უკავშირდებოდა, გადმოგვდეს ჩვენ, მიწვეულ ვარსკვლავებს და ნეგატიურად დაგვმუხტეს იმ დროს, როცა მხოლოდ ცეკვაზე უნდა მეფიქრა და პირველ რიგში იმაზე, რომ მაყურებელი მაქსიმალურად კმაყოფილი ყოფილიყო შოუთი.

ძალისხმევა არ დამიშურებია, თუმცა არსებულს დევიდის მიმართ გამოხატული უსამართლობაც დაემატა.

მორიგ ეტაპზე გაჩნდა ჩაცმის პრობლემაც, მექნებოდა თუ არა სასცენო კოსტიუმი დროულად და რეალურად ყველაფერი ექსტრემალურად ვითარდებოდა, პასუხისმგებელი პირები ტელეფონის ზარსაც არ პასუხობდნენ...

კიდევ ერთი უცნაურობა ის არის, რომ რამდენიმე პირდაპირი ეთერის დროს, თავად როგორც ნახეთ, ზარებსა და მესიჯებთან დაკავშირებით განსხვავებული ინფორმაცია ცხადდებოდა. ჯერ თითქოს უფასო იყო, შემდეგ თქვეს, რომ ფასიანია, რის გამოც გულშემატკივრებთან თავი უხერხულად ვიგრძენი.

მე არ მქონდა პასუხი მაყურებლის კითხვაზე, რატომ არ ცხადდებოდა მიღებული ზარების საერთო რაოდენობა და კონკურსანტების ნომერზე დაფიქსირებული კონკრეტული პროცენტული მაჩვენებელი.

ჟიურის დამოკიდებულება და შეურაცხმყოფელი კომენტარები, რის გამოც ერთ-ერთმა მონაწილემ პირველმა დატოვა პროექტი, თავადაც გახსოვთ. გვჯეროდა, რომ გარკვეულ ეტაპზე ეს მიდგომა შეიცვლებოდა, მაგრამ ჩვენი წყვილის მისამართით უფრო გამძაფრდა. უცნაურია, რომ მე და დევიდს ყოველთვის გვრჩებოდა განცდა, რომ სხვისი შეცდომების გამო სცენაზე ჩვენ უნდა გვეგო პასუხი.

ყოველდღიურად რვა-ცხრა საათი ვვარჯიშობდი იმისთვის, რომ მაყურებლამდე სრულყოფილი შოუ მიმეტანა. მიუხედავად იმისა, რომ მიწვეული მონაწილეები არ ვართ პროფესიონალი მოცეკვავეები, ეს თითქოს ყველას ავიწყდებოდა და იმის მაგივრად, კონკრეტული რჩევა მოეცათ, კისერი გაგვესწორებინა თუ ფეხი, მოვისმინე, რომ მოუქნელი ვარ და პირიდან ცეცხლს ვერ ვაფრქვევ.



უნდა იცოდეთ, რა ქმნის მაღალი ხარისხის შოუს და ისიც, ფსიქოლოგიურად როგორ ვისტრესებოდით ორშაბათიდან ორშაბათამდე.

ვწუხვარ! იძულებული ვარ, ასეთი გადაწყვეტილება მივიღო – მე ვტოვებ პროექტს და უარს ვეუბნები ადამიანებისადმი გულგრილ, არაპროფესიონალურ და ზერელე დამოკიდებულებას. უარს ვეუბნები ყველას, ვისი შეცდომის გამოც მე მივიღე სტრესი, ვისი შეცდომის გამოსწორებაც ექსტრემალურ პირობებში მე მიწევდა სცენაზე, ვისი მონდომებითაც ჩემი შრომა და ძალისხმევა გადაიფარა.

ეს პროექტი უკვე წარსულია, ამიტომ ვიცეკვებ სხვაგან, სხვა დროს და სხვა სივრცეში. სიახლეებით მალე დაგიბრუნდებით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ნარკოზზე დამოკიდებულებამ ბრიტანელს ცხრა ოპერაცია გადაატანინა

ბრიტანეთის ჰატრფორდშირის საგრაფოს მცხოვრებმა ქალბატონმა ნიკი ჰერიმ ცხრაჯერ დაითანხმა ექიმები, მისთვის არასაჭირო ოპერაციები გაეკეთებინათ, რათა ანესთეზიის ეფექტი განეცადა და ტკივილგამაყუჩებლების რეცეპტი მიეღო.

ჰერის აღიარებით, მისი ტკივილგამაყუჩებლებზე დამოკიდებულება 18 წლის ასაკიდან დაიწყო. მაშინ ის მუხლის არეში ტკივილს უჩიოდა და თერაპევტმა ტკივილგამაყუჩებელი საშუალება „კო-კოდამოლი“ გამოუწერა. ხუთი თვის შემდეგ წამალი აღარ მოქმედებდა და ის საოპერაციოდ გააგზავნეს, რომლის შემდეგ მორფი გაუკეთეს.

– ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ღრუბლებში დავფრინავდი, ხოლო სხვა ყველაფერს ჩემთვის მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ბრიტანელმა ქალბატონმა. გამოწერის შემდეგ მას ისევ „კო-კოდამოლი“ გამოუწერეს, მხოლოდ ურჩიეს, რომ უფრო დიდი დოზით მიეღო.

დროთა განმავლობაში ის დღეში გამოწერილი სამი აბის ნაცვლად ათ აბს იღებდა. თუ წამალს დიდი ხნის განმავლობაში არ სვამდა, პანიკური შეტევები ეწყებოდა. როდესაც რეცეპტს ვადა გაუვიდა, მან ექიმს მოატყუა, რომ თითქოსდა მუხლში ტკივილების ისევ აწუხებდა. ის ტკივილგამაყუჩებელ წამლებს მხოლოდ ორი ფეხმძიმობის დროს არ იღებდა, შემდეგ კი ისევ აგრძელებდა. სასურველი რეცეპტის მისაღებად ხშირად იცვლიდა ექიმებს. მეუღლემ მოსთხოვა, რომ წამლების მიღება შეეწყვიტა, მაგრამ ის მალულად მაინც იღებდა. შემდგომი 12 წლის განმავლობაში მან ექვსი ოპერაცია მხოლოდ იმისთვის გაიკეთა, რომ ანესთეზიის განცდა ჰქონოდა და, რა თქმა უნდა, ტკივილგამაყუჩებლებისთვის რეცეპტები მიეღო.



35 წლის ასაკში ჰერიმ კბილის ამოსაღებად კიდევ ორი ოპერაცია გადაიტანა. ამ დროს მან დაჟინებით მოითხოვა, რომ ოპერაციები ანესთეზიით გაეკეთებინათ. ამ ყველაფრის შედეგად მას მეუღლე დაშორდა. მალე ორმა მეგობარმა ქალი ძალით მიიყვანა ფსიქიატრთან. მან განაცხადა, რომ ქალი ნარკოდამოკიდებული იყო და სარეაბილიტაციო ცენტრში გააგზავნა. დროთა განმავლობაში ბრიტანელმა ნარკოტიკებზე დამოკიდებულების დაძლევა მოახერხა. ამჟამად ის ტკივილგამაყუჩებელ წამალს თავის ძლიერი ტკივილის დროსაც კი აღარ იღებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**31 ოქტომბრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.7020 |
| ევრო | 3.0808 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4677 |
| 100 რუსული რუბლი | 4.1236 |

**ამინდის პროგნოზი 31 ოქტომბრისთვის**




## კარიუსი ბეშიქთაშმაც დაიწუნა



ბეშიქთაში უკმაყოფილოა ლორის კარიუსის თამაშით და თურქულ გუნდს მისი ლივერპულში დაბრუნება სურს.

კარიუსი სეზონის ბოლომდე ბეშიქთაშში უნდა ყოფილიყო, მაგრამ შესაძლოა ის უკვე იანვარში შეუერთდეს ლივერპულს.

კარიუსმა გასულ სეზონში რამდენიმე ძალიან უხეში შეცდომა დაუშვა და ამის გამო ლივერპულმა მისი განათხოვრება გადაწყვიტა.

ბეშიქთაშში კარიუსმა კარგად დაიწყო, მაგრამ ოქტომბრიდან მისი თამაშის ხარისხი გაუარესდა და თურქებს მისი თავიდან მოშორება სურთ.

რთული სათქმელია, დათანხმდება თუ არა ლივერპული კარიუსის უკან დაბრუნებას.

## მესის ნეიმარის დაბრუნება სურს

ბოლო პერიოდში ხშირად იწერება იმის შესახებ, რომ ნეიმარი შესაძლოა ბარსელონაში დაბრუნდეს და მას პსჟ მობეზრდა.



ნეიმარის ბარსელონაში დაბრუნება მესისაც სურს, რომელიც ნეიმართან ყოველთვის ადვილად პოულობდა საერთო ენას.

მიუხედავად ამისა, ბარსელონის პრეზიდენტმა ჟოზეპ ბართომეუმ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ კატალონიური კლუბი არ განიხილავს ნეიმარის დაბრუნების ვარიანტს.

## მარსელო: „რეალი ამ კრიზისს დაძლევს“



რეალის ერთ-ერთმა ლიდერმა მარსელო ვიეირამ განაცხადა, რომ რეალი იმ კრიზისს დაძლევს, რომელშიც ამჟამად იმყოფება.

მარსელოს თქმით, ლოგიკური იყო, რომ ამდენი გამარჯვების შემდეგ რეალში ადრე თუ გვიან კრიზისი დაიწყებოდა:

– სამწუხაროა, რაც დღეს ხდება, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო. რეალი უდიდესი გუნდია და, დარწმუნებული ვარ, რომ ამ კრიზისს დავძლევთ და გულშემატკივარს ისევ გავახარებთ. შეგახსენებთ, რომ რეალმა ბარსელონასთან 1:5 წააგო და ამ შეხვედრის შემდეგ ხულიან ლოპეტეგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

## იბრაჰიმოვიჩის მომავალი კვლავ გაურკვეველია

ზლატან იბრაჰიმოვიჩი უკვე აღარ მალავს, რომ მას ევროპაში სურს დაბრუნება და ის მზად არის, მილანის ფეხბურთელი გახდეს, თუმცა ეს იანვრამდე არ მოხდება.



ამჟამად ზლატანი ლოს ანჟელეს გელექსის ღირსებას იცავს და ამ გუნდში ის ძალიან შედეგიანია, თუმცა, როგორც ჩანს, იბრას ევროპული ფეხბურთი მოენატრა.

საუბარი იყო იმაზეც, რომ ზლატანი მანჩესტერ იუნაიტედში დაბრუნდებოდა, მაგრამ ეს ჭორები ჟოზე მოურინიომ უარყო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი...

სკოლიდან სახლში დაბრუნებულ ნამტირალევ შვილს მამა ეკითხება:

– შვილო, რატომ ხარ ნამტირალევი, რა მოხდა?

– ორიანი მივიღე ქართულში.

– რათ მიიღე, შე შობელძაღლო, შენა?

– მასწავლებელმა მითხრა: „სამი ქალი ზიან სკამზე პარკში და სიგარეტს ეწევიან“ – ეს წინადადება გამირჩიეო...

– ბიჯო, მაგაი რა გარჩევა უნდა, სამივე ჩათლახები ყოფილან.

– მეც ეგრე ვუთხარი და...

•••

აფთიაქში შესული მსუქანი ქალბატონი ფუნთუშას შეექცევა და თან კითხულობს:

– უამრავი აფთიაქი შემოვიარე და იაფი და ეფექტური გასახდომი საშუალება არსად აქვთ, იქნებ თქვენ მაინც გქონდეთ?

– კი, გვაქვს, ქალბატონო, პლასტირი. ძალზე ეფექტურია.

– და სად უნდა დავიკრა?

– პირზე!

•••

ორი დიდი ხნის უნახავი ნაცნობი დიდ სუპერმარკეტში შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აქ რას აკეთებ?

– ცოლი დავკარგე და ვეძებ, შენ რაღას აკეთებ?

– მეც ცოლს ვეძებ.

– შენი ცოლი შესახედავად როგორია?

– მაღალი, შავთვალება, აშოლტილი ფეხებით, სავსე მკერდით...

– თუ მასეა, მაშინ ჩემი ცოლის ძებნას შევეშვათ და შენი მოვძებნოთ...

•••

ცოლი ქმარს ეშმაკური გამომეტყველებით ეუბნება:

– ძალიან მალე რომანტიკული საღამო და უმშვენიერეს ქალთან სექსი გელის.

– რა, მივლინებაში მიდიხარ?

•••

სხვა მტაცებლებისგან განსხვავებით, პოლიტიკოსებსა და ოლიგარქებს ერთი გენეტიკური დეფექტი აქვთ – გაძღომის გრძნობა არ გააჩნიათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე ვადაში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00–19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

**მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2**
**ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00–19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.**


## იაპონიის პრინცესა უბრალო მოკვდავზე გათხოვდა



იაპონიის პრინცესა აიაკო ტაკამადო, იაპონიის იმპერატორ აკიხიტოს ბიძაშვილი, უბრალო მოკვდავ კეია მორიაზე გათხოვდა და თავისი სტატუსი დაკარგა.

ცერემონია ტოკიოში მეიდზის ეკლესიაში გაიმართა, რომელიც ქალაქის უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს. ცერემონიის დროს სიძემ და პატარძალმა, სინტოისტური რიტუალის თანახმად, ერთად დალიეს საკე სამი სხვადასხვა ფინჯნიდან და, ევროპული ჩვეულების მიხედვით, ბეჭდები გაცვალეს. ამ ყოველივეს 30 სტუმარი ესწრებოდა. 28 წლის პატარძალს ვარცხნილობაც და ჩაცმულობაც ჰეიანის სტილში ჰქონდა (794-დან 1165 წლის ჩათვლით).

პრინცესა იმპერატორ აკიხიტოს გასულ კვირას დაემშვიდობა და იმედი გამოთქვა, რომ მის და მისი მეუღლის დახმარებას შეძლებდა, როგორც ოჯახის ყოფილი წევრი.

– ბედნიერებით აღსავსე ვარ, – განუცხადა პატარძალმა ჟურნალისტებს, ხოლო 32 წლის სიძემ, რომელიც საზღვაო კომპანიაში მუშაობს, განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ პრინცესამ უმტკივნეულოდ გადაიტანოს სასახლის გარეთ ცხოვრებასთან შეგუების პერიოდი.

## უპატრონო კატამ მოდელებს პოდიუმზე სიარული ასწავლა



თურქეთის ქალაქ სტამბოლში უპატრონო კატა მოდების ჩვენების დროს პოდიუმზე გამოვიდა და იქ დეფილეს დროს მოდელებთან ერთად გაისეირნა. ამის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა თვითმხილველმა იუთუბიზე განათავსა.

კადრებში ჩანს, რომ შინაური ცხოველი შუა პოდიუმზეა წამოსკუპებული და თათებს ილოკავს, შემდეგ კი ცდილობს, დეფილეზე გამოსულ მოდელებს გაეთამაშოს, მერე კი თავად ახდენს „კატისებური სიარულის“ დემონსტრირებას.

მაყურებლები, რომლებიც ამ ყოველივეს თვითმხილველები გახდნენ, იცინოდნენ. როგორც ვიდეორგოლიდან ჩანს, ცხოველის გაგდება არავის უცდია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. აბრეშუმის ჭია; 2. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 3. ჟოკეის წკეპლა; 5. დიდი შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი და მოტორიანი ნავებით; 6. მეტყველების ნაკლის მკურნალი სპეციალისტი; 9. ურთიერთდათმობით მიღწეული შეთანხმება; 10. აეროპორტი ქუთაისში; 11. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 14. არაბეთის ზღვისპირა კურორტი ინდოეთში; 16. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 18. სკანდინავიური ლეგენდა, თქმულება.

**თარაზულად:** 1. ხურდა ფული თურქეთში; 4. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 7. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 8. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 12. მწერის განვითარების ბოლო სტადია; 13. დაზვერვის თანამშრომელი; 15. კომბინაცია პრეფერანსში; 17. თემურ ბაბლუანის მხატვრული ფილმი; 19. ტკივილიანი, მწვავე შეტევა გულის არეში; 20. ქუთაისთან დამეგობრებული საფრანგეთის ქალაქი; 21. მფრინავი ცხოველი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

